პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერწყმეთ!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი № 30 (11944) | კვირა, 5 თებერვალი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი საქართველოში

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი ესაუბრება საგარეჯოს რაიონის მუხროვანის მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის მწველავებს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა და გ. ვახტანგაძისა.

4 თებერვალს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელიც თბილისში ჩამოვიდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, იმოგზაურა აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში.

პირველი მეურნეობა, რომელსაც ნ. ს. ხრუშჩოვი ეწვია, იყო საგარეჯოს რაიონის მუხროვანის მერძეველობის საბჭოთა მეურნეობა — ერთი მრავალთაგანი, რომელიც აღორძინებულ სამგორის ველზე წარმოიშვა უკანასკნელ წლებში. იგი ამ შვიდი წლის წინათ შეიქმნა და ამჟამად გადაქცეულია მეცხოველეობის პროდუქციის დიდ მეურნეობად.

ნ. ს. ხრუშჩოვმა დაათვალიერა მეცხოველეობის ფერმა, ესაუბრა საბჭოთა მეურნეობის მუშებსა და სპეციალისტებს. მას აინტერესებდა, თუ როგორია ადგილობრივი და შვიცის ჯიშის ძროხების პროდუქტიულობა, საკვები ბაზა, მეცხოველეობის შრომატევადი პროცესების მექანიზაცია.

საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა, საბჭოთა არმიის დემობილიზებულმა ოფიცერმა ვ. კორძაძემ ილაპარაკა საბჭოთა მეურნეობის კოლექტივის მუშაობაზე, მეურნეობის შემდგომი განვითარების პერსპექტივებზე. მეურნეობის ფერმებში ახლა შვიდასზე მეტი ძროხაა. აქ წარმატებით გადაჭრეს საკუთარი მტკიცე საკვები ბაზის შექმნის ამოცანა. სამგორის სარწყავი სისტემის მეორე რიგის მშენებლობის დამთავრების შემდეგ საბჭოთა მეურნეობის წინაშე გადაიშლება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ახალი შესაძლებლობანი.

6. ს. ხრუშჩოვს უთხრეს, რომ საბჭოთა მეურნეობაში შრომობენ ათზე მეტი ეროვნების წარმომადგენლები. ნიკიტა სერგის-ძე ესაუბრა მწველავებს ნ. იორამაშვილს, გ. მამედოვას, ე. გოგოლაურს, დ. მუსაევას, ო. საციშვილს, ნ. ბოლოტინას.

6. ს. ხრუშჩოვმა დიდი გულითადობით ჩამოართვა ხელი საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მუშას, პარტიის რაიონული კომიტეტის წევრს ნინო კევლიშვილს. იგი საბჭოთა მეურნეობაში დაარსების პირველი დღიდანვე მუშაობს. აქ შრომობენ აგრეთვე მისი ვაჟი, ქალიშვილი და სიძე.

6. ს. ხრუშჩოვმა უსურვა მეცხოველეებს დიდი წარმატებანი საბჭოთა ადამიანებისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის ბრძოლაში. საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი გულითადად მიესალმა ძვირფას სტუმარს.

6. ს. ხრუშჩოვმა დიდი ინტერესი გამოიჩინა საგარეჯოს რაიონის მრავალდარგოვანი მეურნეობის — კოლმეურნეობა „საქართველოს“ საქმიანობისადმი. ამ კოლმეურნეობაში, რომელსაც 16 ათას ჰექტარზე მეტი მიწა აქვს, ვითარდება მევენახეობა, მეცხოველეობა, მოჰყავთ მარცვლეული კულტურები. კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ გ. დუჩიძემ ილაპარაკა არტელის წევრთა შრომითს საქმეებზე, იმ ვალდებულებებზე, რომლებიც მათ იკისრეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პასუხად.

6. ს. ხრუშჩოვს აცნობეს, რომ კოლმეურნეობა „საქართველოში“, ისევე როგორც მთელ საგარეჯოს რაიონში, უკანასკნელი წლების განმავლობაში სიმინდმა დიდმნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. პრაქტიკულად გადაიჭრა მეცხოველეობის საკვები ბაზის შექმნის ამოცანა. უკანასკნელ შვიდ წელიწადში ძროხების წველადობა საშუალოდ რაიონში 8-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა, გადიდდა ხორცის წარმოება.

6. ს. ხრუშჩოვმა ურჩია მექანიზატორებს გამოიყენონ სიმინდის თესვის კვადრატულ-ბუდობრივი წესი, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება ფართოდ დაინერგოს ნათესების დამუშავების კომპლექსური მექანიზაცია. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს არა მარტო უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების გადიდებას. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, არამედ დიდძალ მუშახელსაც გაათავისუფლებს რაიონის კოლმეურნეობათა ეკონომიკის ძირითადი დარგისათვის — მევენახეობისათვის.

საუბრის მონაწილეებმა მხურვალე მადლობა გადაუხადეს ნიკიტა სერგის-ძეს ძვირფასი რჩევა-დარიგებისათვის, პირობა მისცეს, რომ გაათკეცებული ენერგიით იბრძოლებენ პარტიისა და მთავრობის დავალებათა განსახორციელებლად. სოფელ საგარეჯოს და სხვა ახლომახლო სოფლების მცხოვრებლებმა დიდი გულითადობით გააცილეს ნ. ს. ხრუშჩოვი.

გაცხოველებული საუბარი საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების საარსებო პრობლემებზე, იმაზე, თუ რა ამოცანებია დასახული საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა წინაშე სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით, გაიმართა გურჯაანის რაიონის სოფელ კაჭრეთში. აქ ჩამოვიდნენ კახეთის მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, მესიმინდეები, მევენახეები, მეცხოველეები, მექანიზატორები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

6. ს. ხრუშჩოვმა გულდასმით მოისმინა შეხვედრის მონაწილეთა გამოსვლები. გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. უტიაშვილმა განაცხადა, რომ არტელის წევრებს წარმოების ძირითად დარგთან — მევენახეობასთან ერთად წარმატებით მოჰყავთ სიმინდი. შარშან საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 75 ცენტნერი ხმელი მარცვალი. ამ კოლმეურნეობის ბრიგადირმა დ. მღებრიშვილმა, რომელიც აგრეთვე გამოვიდა შეხვედრაზე, საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 80,2 ცენტნერი სიმინდის მარცვალი. კოლმეურნეებმა აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და იკისრეს ვალდებულება ჰექტარზე მოიყვანონ 100 ცენტნ. სიმინდი.

6. ს. ხრუშჩოვმა ურჩია ჩუმლაყელ კოლმეურნეებს მოიყვანონ სიმინდი უფრო დიდ ფართობებზე, გამოჰყონ ამ კულტურისათვის მთელი დაბლობი ადგილები, ვენახები კი, რომელთა ფართობი კოლმეურნეობის გეგმის მიხედვით შვიდწლედის ბოლოს 500 ჰექტარამდე უნდა გადიდდეს, გააშენონ მთის ფერდობებზე.

სიმინდისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლის მიღების, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის ბრძოლის გამოცდილებაზე ილაპარაკეს აგრეთვე ყვარლის, საგარეჯოს, ახმეტის, ლაგოდეხისა და სხვა რაიონების კოლმეურნეობათა წარმომადგენლებმა. ყველანი ლაპარაკობდნენ იმ დიდ შრომით აღმავლობაზე, რაც ახლა სუფევს ყოველ საკოლმეურნეო სოფელში, იმაზე, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა მტკიცედ გადაწყვიტეს განახორციელონ შვიდწლედის მესამე წლის დავალებანი.

საუბრის მთავარი თემა იყო საკითხი საკვები ბაზის შემდგომი განმტკიცების გზების შესახებ.

6. ს. ხრუშჩოვმა მხარი დაუჭირა იმ მეურნეობათა ხელმძღვანელებს, სადაც მოჰყავთ საკვების მეორე მოსავალი ნაწვერალზე სიმინდის თესვის გზით. მან ურჩია უფრო თამამად განახორციელონ ცდები, გამონახონ სიმინდის მოვლა-მოყვანის ყველაზე პროგრესული მეთოდები. მეტი სიმინდი რომ გვექნება, ხაზგასმით აღნიშნა მან, ეს იმას ნიშნავს, რომ ვაწარმოებთ უფრო მეტ რძეს, ხორცს, კარაქს, კვერცხს და მეცხოველეობის სხვა პროდუქტებს.

6. ს. ხრუშჩოვმა ილაპარაკა იმის დიდ მნიშვნელობაზე, რომ უფრო რაციონალურად გამოვიყენოთ კახეთის ნაყოფიერი მიწები, სწორად გადავჭრათ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის საკითხები. მან მიუთითა რაიონებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელებს, რომ საჭიროა აამაღლონ კოლმეურნეთა, განსაკუთრებით მემინდვრეობაში დასაქმებულთა, მატერიალური დაინტერესება, დაუცხრომლად იზრუნონ სოფლის მშრომელების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

მგზაურობისას ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვს ახლდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი პ. ვ. კოვანოვი და სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს ყველგან მხურვალედ, გულითადად ხვდებოდნენ.

საღამოს ნ. ს. ხრუშჩოვი თბილისში დაბრუნდა. (საქდესი).

ახალი წიგნი

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ბროშურად გამოუშვა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა: „ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება და სოფლის მეურნეობის პროდუქტთა წარმოების შემდგომი გადიდების ამოცანები“, რომელიც წარმოთქვა 1961 წლის 17 იანვარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. (საქდესი).

ლირსეული შეხვედრა პარტიის ყრილობას!

ფრთას შლის თაოსნობა

ქუთაისი. (საქ. კორ.). ს. ორჯონიკიძის სახელობის ავტომობილმშენებელი ქარხნის კოლექტივმა ერთსულოვნად მოიწონა ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივის თაოსნობა — გაჩაღდეს სოციალისტური შეჯიბრება პარტიის მორიგი, XXII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

ავტომობილმშენებლებმა თავის მხრივ იკისრეს: **25 დეკემბრისათვის შეასრულონ წლიური გეგმა; გასულ წელთან შედარებით 4 პროცენტით გაზარდონ შრომის ნაყოფიერება; თვითღირებულების შემცირებით რესპუბლიკურ ფონდში შეიტანონ 50 ათასი მანეთი; დაზოგონ 1,5 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია; განაგრძონ შეფობა წულუკიძის რაიონის სოფლების გუბის, კუხისა და წყალტუბოს რაიონის სოფელ გვიშტიბის კოლმეურნეობებზე; კვალიფიკაცია აუმაღლონ 2.030 კაცს; ქარხნის ტერიტორიაზე დარგონ 8 ათასი ხე და ბუჩქი.**

ზეგეგმითი მარგანეცი

ჭიათურა. (საქ. კორ). მარგანეცის ქალაქის მშრომელები პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავ შეჯიბრებაში ახალ წარმატებებს აღწევენ. სტალინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა, რომელიც ნიკოპოლის მარგანეცის ტრესტის ოქტომბრის 40 წლისთავის სახელობის მაღაროს კოლექტივს ეჯიბრება, 28 იანვრისათვის შეასრულა სასაქონლო მარგანეცის დამზადების იანვრის დავალება და მეტალურგიულ ქარხნებს გაუგზავნა ათას ტონობით ზეგეგმითი მარგანეცი.

მაღალნაყოფიერად შრომობენ უბნები, რომლებსაც ი. წერეთელი, გ. გაფრინდაშვილი, ვ. ფანჩულიძე, ღ. აბაშიძე ხელმძღვანელობენ. ისინი ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგანან და ყოველდღიურ დავალებებს 110-115 პროცენტით ასრულებენ.

28 იანვრისათვის თვიური დავალება შეასრულა და რამდენიმე ათასი ტონა ზეგეგმითი მადანი გამოიღო აგრეთვე კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა.

საჭიროა წინსვლა, საჭიროა წინ ვიხელმძღვანელოთ, საჭიროა ყრილობაზე მოვიტანოთ სამეურნეო მშენებლობის კარგად მოფიქრებული და ყურადღებით, პარტიის ყველა წევრის საერთო შრომით, საერთო ძალღონით გადამუშავებული პრაქტიკული გამოცდილება.

საკლესიო ცნობა

გადიდებული წონის კოსმოსური ხომალდების შექმნისა და დამუშავების გეგმის შესაბამისად 1961 წლის 4 თებერვალს საბჭოთა კავშირში სრულყოფილი მრავალსაფეხურიანი რაკეტის დახმარებით განხორციელდა დედამიწის მძიმე ხელოვნური თანამგზავრის გაშვება. თანამგზავრის წონა, მატარებელი რაკეტის უკანასკნელი საფეხურის წონის ჩაუთვლელად, 6.483 კილოგრამია. თანამგზავრზე დადგმულია რადიოტელემეტრიული სისტემა კონსტრუქციის ელემენტთა პარამეტრებისა და ტრაექტორიული გაზომვების აპარატურის კონტროლისათვის. თანამგზავრზე დადგმული მთელი აპარატურა მისი გაყვანის უბანზე და ორბიტაზე შემდგომი მოძრაობის დროს ნორმალურად მუშაობდა.

წინასწარი მონაცემების შედეგად, რომლებიც მიღებულია სახმელეთო გასაზომ-გამოსათვლელი კომპლექსის დახმარებით, შესაძლებელი გახდა განისაზღვროს თანამგზავრის ორბიტის შემდეგი პარამეტრები: მიმოქცევის პერიოდია 89,80 წუთი, პერიგეის სიმაღლე 223,5 კილომეტრი, აპოგეის სიმაღლე 327,6 კილომეტრი, ორბიტის დახრილობა 64 გრადუსი და 47 მინუტი.

თანამგზავრის ორბიტის გაზომილი პარამეტრები უახლოვდება გაანგარიშებულს.

თანამგზავრის გაშვებისას დასახული მეცნიერულ-ტექნიკური ამოცანები შესრულებულია.

„მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ახალი გამარჯვებებისათვის“

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ცალკე ბროშურად გამოუშვა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება „მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ახალი გამარჯვებებისათვის. კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის შედეგების გამო“.

მოხსენება წაკითხულ იქნა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლის, საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიისა და მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციების საერთო კრებაზე 1961 წლის 6 იანვარს.

ბროშურა გამოვიდა მასობრივი ტირაჟით. (საქდესი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ „გმირი დედის“ საპატიო წოდება და გადაეცეთ „გმირი დედის“ ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი და მეტი შვილი:

1. ალიევას რაჰმანსა კასუმ ყზის — ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, მარნეულის რაიონი.

2. ვალიევას გოჰარ ისმაილ ყზის — დიასახლისს, მარნეულის რაიონის სოფელი ახლიმამუდლო.

3. გაჯიევას ურუ ალმედ ყზის — სვერდლოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, მარნეულის რაიონი.

4. გერგედავას ლუსია მიხეილის ასულს — სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, წალენჯიხის რაიონი.

5. გურგენაძეს ნადია ანდრიას ასულს — დიასახლისს, ლანჩხუთის რაიონის სოფელი სუფსა.

6. ჭაველს ნაზიმე ხალიტის ასულს — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ქედის რაიონის სოფელი კვაშტა.

7. კამადაძეს ხოშნეთ მეგლუდის ასულს — მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, აჭარის ასსრ ხულოს რაიონი.

8. კუსრაეევას ნატალია როსების ასულს — კოლმეურნეს, გორის რაიონის სოფელი შავშვები.

9. მამედოვას ბულგეის ჰუსეინ ყზის — დიასახლისს, მარნეულის რაიონის სოფელი ყიზილ ალო.

10. მამედოვა-ნაგდალიევას ნურჯანან მამედ ყზის — დიასახლისს, მარნეულის რაიონის დაბა მარნეული.

11. როგავას ნათელა ფილიპეს ასულს — ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, ზუგდიდის რაიონი.

12. ხაჭაიას ნორა გერასიმეს ასულს — კოლხეთის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, წალენჯიხის რაიონი.

13. ბუფენიას მარგო ნიჩეს ასულს — წერეთლის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, ზუგდიდის რაიონი.

14. შიტიკს ვერა ვასილის ასულს — ხეცურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშას, ზუგდიდის რაიონი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი
1961 წლის თებერვალი

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მწერალ ნ. ე. ზარიანის შრომის ფითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით და საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოდეს მწერალი ნაირი ეგიზარის ძე ზარიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი.
1961 წლის 4 თებერვალი.

საგჭოთა მთავრობის ნოტა

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი

მოსკოვი, 4 თებერვალი. (საქდესი). 4 თებერვალს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში ლ. ტომპსონი და გადასცა მას საბჭოთა მთავრობის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ სამი სახელმწიფოს ჟენევის თათბირის მუშაობის საკითხზე. ეს ნოტა პასუხია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის 1961 წლის 26 იანვრის ნოტისა.

საბჭოთა მთავრობა დათანხმდა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის თხოვნას, რომ გადაიდოს სამი სახელმწიფოს ჟენევის თათბირის მუშაობის განახლება 7 თებერვლიდან 21 მარტისათვის.

საბჭოთა კავშირის მთავრობა, ნათქვამია ნოტაში, ცნობად იღებს ნოტაში გამოხატულ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის იმ მისწრაფებას, რომ რაც შეიძლება სწრაფად და წარმატებით დამთავრდეს ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ თათბირის მუშაობა. საბჭოთა მთავრობა თავის მხრივ მზად არის ყოველი ღონე იხმაროს იმისათვის, რომ თათბირის მუშაობა დამთავრდეს რაც შეიძლება უმოკლეს ვადაში, ისე, რომ მიღწეულ იქნეს შეთანხმება ატომური იარაღის ყოველგვარი გამოცდის შეწყვეტის შესახებ.

ბრატსკის ჰესის მშენებლობაზე

ბრატსკი, 3 თებერვალი. (საქდეს.). ბრატსკის ჰესის შენობის კონტურები, რომლებიც შეკრულია ანგარის კლდიან ფსკერზე, დასრულებულ სახეს იღებენ. სალი კლდის ჩუნსეის ძირში კლდის სამუშაოები მალე დამთავრდება. კალაპოტის შუაგულში კი შენობა უკვე იზრდება სიმაღლეზე: ვლადიმერ მამედოვის ბრიგადამ ჰიდროსადგურის შენობის კარკასის პირველი ოთხი კოლონა დააყენა. ამ კოლონების სიმაღლე დაახლოებით ცხრა მეტრია, თითოეულის წონა ოცდაორი ტონაა. კოლონები შეასრულებენ კიდევ დიდმნიშვნელოვან დამხმარე როლს: ამ კოლონებზე დააყენებენ ხიდურ ამწეს ჰიდროაგრეგატების მონტაჟისათვის. მშენებლებმა ვალდებულება იკისრეს პარტიის XXII ყრილობის გახსნისთვის დაამთავრონ 450 ათასი კილოვატი საერთო სიმძლავრის ორი აგრეგატის მონტაჟი და გამოსცადონ ერთი მათგანი.

ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის ლენინური პრემიების კომიტეტში

მოსკოვი, 3 თებერვალი. (საქდესი). მუშაობა დაიწყო ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის ლენინური პრემიების კომიტეტის პლენუმმა.

პლენუმი გახსნა კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ს. ტიხონოვმა.

პირველი სხდომა მიეძღვნა ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა წინასწარ განხილვას, რომლებიც წარდგენილია 1961 წლის ლენინური პრემიების მოსაპოვებლად. კომიტეტის წევრები გაეცნობიან სპექტაკლებს, კინოს, სახვითი ხელოვნების, მუსიკის ნაწარმოებებს, მოისმენენ პრემიების მოსაპოვებლად წამოყენებულ შემსრულებელთა კონცერტებს.

კომიტეტის პლენუმის მუშაობა რომ დამთავრდება, პრესაში გამოქვეყნდება იმ კანდიდატურათა სიები, რომლებიც დატოვებული იქნებიან შემდგომი განხილვისათვის.

შრომა, მეგობრობა, სიუხვე!

ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის წინ

ყუმროს ველის მშვენება

შეხედეთ ამ სურათს. იგი გუშინ გადაიღო ფოტოკორესპონდენტმა ყუმროს ველზე, ოლეს ხეობაში, და სასწრაფოდ მოგვაწოდა გაზეთში დასაბეჭდად.

სიხარულით გალაღებულა სოფელ ქვემო ალვანის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მწყემსი შალვა ბლიაძე. განა არა აქვს სასიხარულო! მეცხვარეობის ფერმაში უკვე დოლია გაჩაღებული. ზედიზედ იგებენ ბუნჩულა ბატკნებს შ. ბლიაძის ცხვრები. ბევრმა ტუუპიც მოიგო და კიდევ უფრო გაზარდა ფარის ნამატი. მწყემსმა ისურვა ახლადმოგებულ ბატკნებთან სურათის გადაღება. როგორც ხედავთ, კორესპონდენტმა შეასრულა მწყემსის სურვილი.

მთებს შემოურკალავს ყუმროს ველი. იგი ვიწრო გასასვლელით უერთდება სამუხის ტევრსა და ოლეს ხეობას. ყუმროს გარშემო ბევრგან გადარჩენილა მარადმწვანე ღვია. აქა-იქ ხოხბები და კაკბები აფრინდებიან, შაშვები ჭახჭახებენ, მტრედები ღუღუნებენ. უყურებ და ტკბები ამ ველის წარმტაცი სანახაობით.

ველზე მოძრაობენ ფარები, მეცხვარეთა ომახიანი შეძახილები კიდით კიდემდე გაისმის. მოდარაჯე ქოფაკები ნადირს ახლოს არ აჭაჭანებენ.

ფარეხებთან გავჩერდით. ბინიდან თმაშეეერცხლილი ახოვანი ვაჟკაცი გამოვიდა.

— ვასილ თორღვაიძე გახლავართ, — თავი გაგვაცნო და ბინაში მიგვიწვია. საუბარი ჩამოაგდო სოფელ ქვემო ალვანის კოლმეურნეობაზე.

— მაშინ ყოველ ას დედა-ცხვარზე 88 ბატკანი ძლივს გავზარდეთ. შეიძლებოდა უფრო მეტის გაზრდა. ამას მოწინავე ბრიგადების მაგალითი ადასტურებს, ვ. მარწინაიძის ბრიგადამ ას ცხვარზე 102 ბატკანი გაზარდა. ყველას რომ ასე ემუშავნა, პირველი იანვრისათვის ჩვიდმეტი ათასი კი არა, ოცი ათას სულზე მეტი ცხვარი გვეყოლებოდა.

მარწინაიძის ბრიგადის მეცხვარეები პირველი მერცხლები არიან ადრეული დოლის საქმეში. შარშან ზაფხულს, წინა წლებთან შედარებით, დედა-ცხვრის მოვლა-პატრონობა გაძლიერეს, მთა-თუშეთის იალაღებზე კარგი საძოვარი შეურჩიეს. საზამთრო საძოვრებზე ფრთხილად, უდანაკლისოდ გადარეკეს.

მეორმოცე წელს ატარებს ზამთრის საძოვრებზე ივანე ბაშინურიძე. ცხვრის ავიც იცის და კარგიც.

მოწინავე მწყემსები არიან შალვა ბლიაძე, ხარება ბახტურიძე, ნიკოლოზ ლილაური. თვალისჩინივით უვლიან ფარას.

შედეგი? 475 დედა-ცხვარზე 491 ბატკანი მიიღეს. ზოგი ჯერ კიდევ მოსაგებია.

დაღამდა, ველზე სიბნელე ჩამოწვა. მეცხვარეებმა ცხვრები დაბინავეს და თვითონაც დაისვენეს კარავში. აქ არის ვლადიმერ ბექურიძეც. ოცდახუთი წელია უცვლელად ხელმძღვანელობს კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმას. ახლა დოლზე საუბრობენ, პლენუმის დადგენილებას ეცნობიან, სიტყვა აიღო ბრიგადირმა ბასილ თორღვაიძემ:

— პრაქტიკით დავრწმუნდით, — თქვა მან, — რომ ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მეცხვარეების მალაშვილისა და ჩალაბაშვილის მეთოდი — ორ წელიწადში სამი დოლი კარგ შედეგს იძლევა. ხუთას ცხვარზე ორ წელიწადში სულ ცოტა 1.600 ბატკნის გაზრდა შეგვიძლია. პარტია მოითხოვს მთლიანად აღკვეთოთ ცხვრის სიკვდილიანობა, ერთიორად გავზარდოთ მატყლის გამოსავლიანობა. ეს მოთხოვნა აუცილებლად უნდა შევასრულოთ.

ს. ქოჩლაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

საქვეყნო საქმეზე მსჯელობდა მწყემსი

ზეადამაყარი ხეობაში თოვლია. ზოგიერთ ადგილს ზვავებიც ჩამოწვა. სოფლიდან სოფელში გაძნელდა მიმოსვლა, მაგრამ მთებში მაინც ჩქეფს შემოქმედებითი შრომის ფერხული.

სოფელ მაქარითის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კანტორაში, რომელიც არაგვს ზემოდან გადაჰყურებს, თავი მოუყრიათ კოლმეურნეებს, გახარებულნი საუბრობენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებზე.

კოლმეურნეობის ბუხჰალტერი ტარიელ წიკლაური ღიმილით ამბობს:

— ბედნიერი თვე იყო იანვარი, დიდი სიხარული განვიცადეთ, როცა მოსკოვში მიმდინარეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა საბჭოთა სოფლის ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი საკითხები.

— გვალვის დროს ჟუჟუნა წვიმა რომ გაუხარდებთ, ისე გაგეხარდა, როცა ჩვენი მთები დათოვა, ხუმრობა ხომ არ იყო, თოვები ჩამოსატანი გვქონდა, ახლა ჩვენი ბიჭები მწვერვალებიდან თავისუფლად აცურებენ ათობით ზვინს... — ჩაერია საუბარში უხუცესი მეცხვარე გივი წიკლაური.

ოთხმოც წელს მიღწეული კაცია გივი, სამოცამდე წელიწადი ცხვარში გაუტარებია, პატიოსანი შრომით დასვენების უფლება მოუპოვებია, მაგრამ ვერ შერიგებია საზოგადოებრივი საქმისაგან მოწყვეტას. ახლაც საქეყნო საქმეზე მსჯელობდა ბერიკაცი.

— მოყვარეს პირში უძრახეო, ნათქვამია, რაც მართალი მართალია, სწორად გვისაყვედურეს, შვილებო, მეცხვარეებს პლენუმზე. მართალია, არც ისე ჩამორჩენილები ვართ, მაგრამ თუ საქმეს უფრო ღრმად ჩავწვდებით, სატრაბახოც ბევრი არა გვაქვს რა.

— წელს არა გვიჭირს რა, ძია გივი, — ეუბნება კოლმეურნეობის თავმჯდომარე ადამ ქავთარაძე, — 9 ათასზე მეტი ცხვარი ნორმალურად ზამთრობს ნოღოის საძოვრებზე, მათ შორის 4.500 დედაცხვარია. ფერმის ყველა ბინა უზრუნველყოფილია თივითა და კონცენტრატებით. მწყემსთა განკარგულებაშია ორი ათას ხუთასზე მეტი ტონა თივა, 40 ტონა შვრია და ქერი, 100 ტონა ჩალა, მეცხვარეებს სასმელ-საკვები და თბილი ტანსაცმელი არ აკლიათ.

— ცხვრის მთელი სულადობა უზრუნველყოფილია დათბუნებული ბინებით. შარშან ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ ადრად რომ გეზზადებოდით, ყიზლარში დამატებით ავაგეთ ცხვრის ახალი ბინა 1.200 სულისათვის.

— ნეტავ ბიჭები როგორ არიან ბაჯიგანზე? — იკითხა გივემ.

— წერილი ახლახან მივიღეთ, ყველანი ჯანმრთელად და მხნედ არიან.

ცხვრის სიკვდილიანობა თითქმის აღკვეთილია. ვაჟკაცურად შრომობენ და ფარებს მოვლა-პატრონობას არ აკლებენ ივანე, შიო, ვანო, ნიკიფორე და სანდრო წიკლაურები, მათთან ერთად არიან მაქრო სუარიძე, ნოდარ წიკლაური, არსენ წიკლაური, ბიჭები იწერებიან, ჩვენი დარდი არ გქონდეთ, თავს არ შეიერცხვენთო.

— შენს პირს შაქარი, — გაუხარდა გივის, — შემდეგ ჩაფიქრდა ცოტა ხანს და კვლავ იკითხა:

— სანდროს ბაღლი ეორა რაღა იქნა. სამი წლის წინათ საშუალო სკოლა რო დაამთავრა და ცხვარში წავიდა?

— ეორა წიკლაური ამ ზამთარს აქ დაბრუნდეთ, ძია გივი, ხომ იცი რა გაეჩარდა გვქონდა საკვების მხრივ, ეორამ კარგი საქმე გაგვიკეთა, ათობით ტონა თივა დაგვიმზადა მთებში, ისიც მალე წავა ყიზლარს და წილსაც გვასახელებს.

—ადრეული დოლმა რა ქნა, შვილო?— კითხულობს გივი.

— აუცილებლად უნდა დავნერგოთ. თუ ორ წელიწადში სამი დოლი გვაქნია, რა სჯობს. შარშან ჩირეულად ავაღეთ ადრეული დოლი და კარგი შედეგი მივიღეთ, ყიზლარის საძოვრებზე უძველ მიღებულია ხუთასზე მეტი ჯანსაღი ბატკანი.

— ჩვენ ცხვრის ხორცის წარმოების დიდი შესაძლებლობა გვაქვს. სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ ისეთ სამარცხვინო მოვლენას, როგორიც არის ცხვრის სიკვდილიანობა. უნდა ავამაღლოთ ყველა მწყემსის პასუხისმგებლობა, გავზარდოთ მათი მატერიალური დაინტერესება, — ჩაერია საუბარში კოლმეურნეობის პატრონგანიზაციის მდივანი მამუკა წიკლაური.

— აი რას იწერებიან მწყემსები საზამთრო საძოვრებიდან:

— მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებები და პლენუმზე ამხანაგ ნიკიტა სერგეი-ძე ხრუშჩოვის სიტყვა რომ განვიხილეთ, ჩვენ, დუშეთის რაიონის სოფელ მაქართის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეები გალდებულებას ვკისრულობთ მიმდინარე წელს ცხვრის სულადობა გავზარდოთ 4 ათასი სულით, ყოველ 100 ცხვარზე მივიღოთ და გავზარდოთ 95 ბატკანი, ყოველ მოზრდილ ცხვარს გავპარსოთ 3,5 კილოგრამი მატყლი, აღკვეთოთ ცხვრის სიკვდილიანობა.

ამ ვალდებულებას სიხარულით აწერენ ხელს თავიანთი საქმის მოყვარული ვაჟკაცები — ქართველი მწყემსები, რომელთა გმირული შრომა ქმნის ჩვენი ხალხის მატერიალურ დოვლათს, მშობლიური მთების ხვავსა და ბარაქას.

ა. თომაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

გუდამაყარი.

ამოცანები და ენთუზიაზმი

ა. ალახვერდიევი,
აზერბაიჯანის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე

წელს აზერბაიჯანის მშრომელებმა სახელმწიფოს უნდა მიაყიდონ 380 ათასი ტონა ბამბა, 100 ათასი ტონა მარცვლეული, 87 ათასი ტონა ბოსტნეული, 86,8 ათასი ტონა ყურძენი, 33,2 ათასი ტონა ხილი, 13 ათასი ტონა თამბაქო, 4,9 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, 3,2 ათასი ტონა აბრეშუმის პარკი, 60 ათასი ტონა ხორცი, 135 ათასი ტონა რძე, 10 ათასი ტონა მატყლი, 55 მილიონი ცალი კვერცხი.

ეს მეტად სერიოზული და საპატიო ამოცანაა. მისი წარმატებით შესრულების ყველა შესაძლებლობა აქვთ ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებს, ჩვენს საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს. შარშან შედარებით კარგ შედეგებს მივაღწიეთ სასოფლო-სამეურნეო არტელების ეკონომიკის განმტკიცებისა და კადრების განაწილების დარგში. სოფლის მეურნეობაში ფართოდ დაინერგა მექანიზაცია, შეიქმნა ასობით კომპლექსური მექანიზაციის სატრაქტორო მემინდვრეობის ბრიგადები, რომლებმაც მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მიაღწიეს სარეკორდო მოსავლიანობას.

ამჟამად რესპუბლიკის კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა 76 პროცენტი უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონეა. ისინი აგრონომები, ეკონომისტები, აგროტექნიკოსები, მექანიზატორები არიან. მეცხოველეობის ფერმების გამგეებად მუშაობენ ვეტტექნიკოსები და ვეტექიმები.

შარშან აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა წარმატებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის მეტი წილი პროდუქტების მიყიდვის გეგმა. რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს მიაყიდეს 372 ათასი ტონა ხამი ბამბა — 71,1 ათასი ტონით მეტი, ვიდრე 1959 წელს.

წელს კოლმეურნეობები გაცილებით უფრო ფართოდ დანერგავენ ბამბის თესვა-მოყვანის პროგრესულ-აგროტექნიკურ ხერხებს. მებამბეობის კოლმეურნეობებში აღდგენილ იქნება თესლბრუნვა, დამყარდება წესრიგი ბამბის ჯიშების განლაგებაში, გაუმჯობესდება მეთესლეობა, უფრო ეფექტიანი გახდება ბამბის მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლა.

აზერბაიჯანის ბამბის მინდვრებში შარშან მუშაობდა კომპლექსური მექანიზაციის 632 სატრაქტორო მემინდვრეობის ბრიგადა, რომლებმაც დაამუშავეს ამ კულტურის მთელი ნათესების მესამედი, ასეთი ბრიგადების შექმნამ გააუმჯობესა ეკონომიური მაჩვენებლები. ცენტნერი ხამი ბამბის თვითღირებულებამ მოწინავე სატრაქტორო მემინდვრეობის ბრიგადაში შარშან შეადგინა 12-15 მანეთი. 1959 წელს კი კილოგრამი ბამბის საშუალო თვითღირებულება აზერბაიჯანის სსრ კოლმეურნეობებში 24 მანეთი და 30 კაპიკი იყო.

წელს გათვალისწინებულია მებამბეობის კოლმეურნეობებში კომპლექსური მექანიზაციის სატრაქტორო მემინდვრეობის ბრიგადების რიცხვი გადიდდეს 1.200-მდე. მათ უნდა დაამუშაონ ბამბის მთელი ნათესების 60 პროცენტი.

შარშან აზერბაიჯანის სს რესპუბლიკამ ვერ შეასრულა პირუტყვის, განსაკუთრებით ძროხის სულადობის განვითარების გეგმა. შარშან კიდევაც შემცირდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ცხვრის სულადობა.

წელს ისე დავიწყეთ მუშაობა, რომ ეს ჩამორჩენა უთუოდ აღმოიფხვრება. ხორცის რესურსების გადიდების მიზნით რესპუბლიკაში უკვე მოეწყო პირუტყვის 46 საკომეურნეობათაშორისო გასასუქებელი პუნქტი. მალე მათი რაოდენობა 120-მდე გაიზრდება. გათვალისწინებულია აგრეთვე წელს მოეწყოს პირუტყვის გასასუქებელი ოთხი დიდი მეურნეობა. კოლმეურნეობებში უკვე ეწყობა ხბოების გაზრდის სპეციალური ბრიგადები და ფერმები. შვიდწლედის ბოლოსათვის რესპუბლიკის კოლმეურნეობებში კამეჩების სულადობა გადიდდება 240 ათას სულამდე.

მომდინარე წელს რესპუბლიკის ბიუჯეტით სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას უნდა მოხმარდეს 35,7 მილიონი მანეთი. აქედან 23 მილიონი მანეთი სარწყავი სისტემის მშენებლობისათვის არის გათვალისწინებული, ახალმა სარწყავმა არხებმა უნდა უზრუნველყონ 21 ათასი ჰექტარი მიწის მორწყვა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შემდეგ უფრო ნათლად გამოჩნდა ის ნაკლოვანებანი, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას აქვს, განსაკუთრებით მეცხოველეობის განვითარების დარგში. ამჟამად ყველგან — კოლმეურნეობებსა თუ საბჭოთა მეურნეობებში გაშლილია მუშაობა ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ახლავე, ამთავითვე ეყრება საფუძველი მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეს. ამოცანა მეტად სერიოზულია, მასების აქტივობაც დიდია.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ღირსეულად შეხვდნენ დიადი კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის გახსნას, წარმატებით შეასრულონ აღებული ვალდებულებანი სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის.

შუქურების მაგალითით

წილად მერგო დიდი ბედნიერება. ვეხწრებოდი სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმს. ეს დღეები არასოდეს არ დამავიწყდება. პლენუმი ყველა ჩვენგანისათვის დიდი სკოლა იყო. სოფლის მეურნეობის, მისი ეკონომიკის, ცხოვრების ცოდნით ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის გამოსვლაში ნათლად გვიჩვენა რაც გაკეთებულია, რაც გვაკლია და რა უნდა გავაკეთოთ მომავალში.

პლენუმიდან დაბრუნების შემდეგ ჩემთვის უფრო ნათელი გახდა ის ნაკლოვანებანი, რაც გვაქვს კოლმეურნეობაში, და ის საშუალებანი, რომლებითაც უნდა მოვიპოვოთ წარმატებები.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა პლენუმზე თქვა, სოფლის მეურნეობის მოწინავეები გზის მანათობელ შუქურებს წარმოადგენენ, ჩვენც გეზი ამ შუქურებისაკენ უნდა ავიღოთო.

ეს მეტად გონივრული ნათქვამი მუდამ უნდა იყოს ჩვენი გზის, ჩვენი წარმატებების მანათობელი შუქურა.

ჩვენი კოლმეურნეობა რომ გამსხვილდა, მას შემდეგ გვაქვს სახნავ-სათესი მიწა 6.300 ჰექტარი, გვაქვს 55 ტრაქტორი, 24 ავტომანქანა და სათანადო რაოდენობით სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები და ინვენტარი.

ახლა მე მეძინელება ვოქვა ზუსტი ციფრები, თუ რა მაჩვენებლები გვექნება 1961 წელს. ამისათვის ჯერ კიდევ მინდა მოვეთათბირო კოლმეურნეებს, სპეციალისტებს. მაგრამ დაახლოებით შემიძლია გითხრათ: სულ მცირე 5.000 ტონა ბამბა უნდა მივყიდოთ სახელმწიფოს.

ჩვენი კოლმეურნეობა წელს განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს მეცხოველეობის განვითარებას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა გვიჩვენა, რომ ამ საქმეში მთავარ როლს ასრულებს მტკიცე საკვები ბაზა. წელს დავთესავთ სიმინდს 600 ჰექტარზე, რაც, უეჭველია, მტკიცე საფუძველი იქნება ჩვენს კოლმეურნეობაში მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის.

იუსიფ გაჯიევი,
ევლახის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თაუმჯდომარე.



წითელწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვების კოლმეურნეობის სიმინდის ხვავი. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ახალ საბრძოლო ზღუდეებზე

ა. ქოჩინიანი,
სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე



საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე ხალხის მხარდამხარ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები თავდადებულად იბრძვიან დიადი ვვიდწლიანი გეგმის განხორციელებისათვის და გარკვეული წარმატებები მოიპოვეს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში.

კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა თავდადებულმა და მეჯითმა შრომამ უზრუნველყო სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ზრდა.

1953 წელთან შედარებით ვენახების ფართობები გადიდდა 63 პროცენტით, ხეხილის ბაღებისა — 26, საკვები კულტურებისა — 47 პროცენტით.

გადიდდა მარცვლეული კულტურების, ბამბის, თამბაქოს, შაქრის ჯარხლის, ვენახებისა და ხეხილის ბაღების მოსავლიანობა.

ახლა უკეთ წარმოებს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენება.

გაიზარდა პირუტყვის სულადობა და გადიდდა მისი პროდუქტიულობა. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა 1960 წელს 1953 წელთან შედარებით გადიდდა 15 პროცენტით, მათ შორის ძროხისა — 46, ღორისა — 21, ცხვრისა და თხისა — 36 პროცენტით.

ამ პერიოდში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე გადიდდა: ხორცისა — 52 პროცენტით, რძისა — ერთიორად და უფრო მეტად, კვერცხისა — 7-ჯერ.

მაგრამ კიდევ უფრო მაღალი და სასიხარულო წარმატებანი მოიპოვეს რესპუბლიკის მრავალმა მოწინავე მეურნეობამ, ჩვენმა გზის-მანათობელმა შუქურებმა — მოწინავე სოფლოსტორებმა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების განთქმულმა ოსტატებმა, რომლებიც არა მარტო მთლიანად, არამედ მნიშვნელოვანი გადაჭარბებითაც ასრულებენ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს.

შაუმიანის რაიონის კოლმეურნეობებმა 1960 წელს კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს მეცხოველეობის განვითარებაში. მთლიანად რაიონში 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე წარმოებული ხორცი 110 ცენტნერი, რძე — 587 ცენტნერი, მატყლი — 559 კილოგრამი. საშუალოდ ერთი ძროხის წველადობამ 3 ათას კილოგრამს გადაამეტა.

ამ რაიონის მოწინავე კოლმეურნეობებმა კიდევ უფრო მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს. მაგალითად, შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობამ, რომლის თავმჯდომარედ 17 წელია უცვლელად მუშაობს რესპუბლიკის მოწინავე ქალი, სოციალისტური შრომის გმირი, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნაზანი გალსტიანი, 1960 წელს მეცხოველეობის პროდუქტები 100 ჰექტარ სავარგულებზე გაანგარიშებით მიიღო: ხორცი — 188 ცენტნერი, აქედან 90 ცენტნერი ღორის ხორცი, რძე — 1.162 ცენტნერი, მატყლი — 1.063 კილოგრამი, კვერცხი — 842 ათასი ცალი. საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებულია 4.837 კილოგრამი რძე.

მთელი ხალხის სიამაყეა და აღტაცებას იწვევს საკოლმეურნეო წარმოების ჩვენი განთქმული ოსტატების კეთილშობილური პატრიოტული შრომა. რესპუბლიკის მეცხოველეთა კაშაკა შუქურაა შაუმიანის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი, სოციალისტური შრომის გმირი, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი აშხენ ავეტისიანი. თავისი სიბეჯითისა და უნარის, მაღალი შეგნებულობისა და თავისი პროფესიის სიყვარულის მეოხებით იგი სრულყოფილად დაეუფლა ძროხების კვებისა და მოვლა-შენახვის ტექნიკას და თავისი საქმის ნამდვილი ოსტატი გახდა. აშხენ ავეტისიანი წლითიწლობით სარეკორდო წველადობას აღწევს. მან წელს იკისრა საშუალოდ ერთ ძროხაზე მიიღოს 6 ათასი კილოგრამი რძე.

ყურძნის უხვი მოსავლის განთქმული ოსტატია არტაშატის რაიონის სოფელ კახცრაშენის კოლმეურნეობის მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნოემ ეღიაზარიანი, რომელმაც იკისრა სოციალისტური ვალდებულება მოიყვანოს წელს ყურძნის სარეკორდო მოსავალი — 230 ცენტნერი ჰექტარზე.

თავდადებული გმირული შრომის ღირსეულ ნიმუშებს გვიჩვენებენ ჩვენი მექანიზატორები — სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავე რაზმი.

ჩვენში ბევრი არიან სასოფლო-სამეურნეო წარმოების ასეთი მოწინავენი. ისინი თვითეულ რაიონში, თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში არიან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობდა, რომ ჩვენს სოფლის მეურნეობას ჯერ-ჯერობით უდაოო წარმატებები აქვს, მაგრამ ეს წარმატებები ვერ დაგვაკმაყოფილებს. ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება ჩამორჩება მრეწველობის განვითარებასა და მოსახლეობის მოთხოვნილებას. ეს შეფასება მთლიანად ეხება ჩვენს რესპუბლიკასაც. მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის დონე ჯერ კიდევ არ შეესაბამება იმ მოთხოვნებს, რომლებსაც სოციალისტურ მეურნეობებს ვუყენებთ. მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გვერდით ჩვენში ჯერ კიდევ ბევრია ჩამორჩენილი მეურნეობაც, სადაც სასოფლო-სამეურნეო კულტურების მცირე მოსავალს იღებენ და მეცხოველეობის პროდუქტიულობაც დაბალია.

ეს სერიოზული ნაკლოვანებანი და სიძნელენი სოფლის მეურნეობის განვითარებაში იმის შედეგია, რომ რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა შეასუსტეს ორგანიზატორული მუშაობა, შემცირდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის დარგში დაწესებული გეგმებისა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის.

სომხეთის კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ გაითვალისწინეს არსებული შესაძლებლობები და რეზერვები და შეიმუშავეს კონკრეტული ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის განვითარებაში დაშვებული სერიოზული ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის და სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა აუცილებელი განხორციელებისათვის.

წელს რესპუბლიკაშიც გათვალისწინებულია სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვა. იმისათვის, რომ უზრუნველყოთ სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვის დადგენილი დავალების შესრულება და არ დავარღვიოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობების ჩამოყალიბებული სტრუქტურა, დასახული გვაქვს მიმდინარე წლის გაზაფხულზე დამატებით დათესოთ ქერი და სიმინდი.

რესპუბლიკის მთიან და მთისპირა ზონებში, სადაც ნიადაგისა და ჰავის პირობები ხელს უწყობენ ქერის მოყვანას, დასახულია იგი დამატებით დაითესოს 30-35 ათას ჰექტარ ფართობზე გამოუყენებელი მიწების დამუშავების გზით.

დაბლობ რაიონებში, რომლებიც სპეციალიზებული არიან ძირითადად ტექნიკური კულტურების, ყურძნის, ხეხილისა და ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების წარმოებაში, დასახულია სამარცვლე სიმინდის ნათესების გადიდება და სასილოსედ თესვა ნაწილობრივ.

მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობების გადიდებასთან ერთად ჩვენი ყურადღების ცენტრში უნდა იყოს მიწათმოქმედების კულტურის ყოველი ღონისძიების ამაღლება, რაც შესაძლებლობას მოგვცემს ავამაღლოთ მოსავლიანობა და გავადიდოთ მარცვლის საერთო წარმოება.

რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების წინაშე მდგომი ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი და გადაუდებელი ამოცანაა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდება.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პირუტყვის სულადობის გადიდებას და მისი პროდუქტიულობის ამაღლებას. მაგრამ მეცხოველეობისადმი უურადღების შესუსტებისა და დანაკარგების დაშვების შედეგად, დაბალი კვლაშწარმოებისა და პროდუქტიულობის დაბალი დონის გამო პირუტყვის ზრდისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ტემპები ჩამორჩა შვიდწლიანი გეგმით დასახულ დავალებებს.

ო

რც გაანგარიშება გვიჩვენებს, რესპუბლიკაში იმის შესაძლებლობაა, რომ უკვე 1961 წელს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ავიყვანოთ: ხორცისა ცოცხალი წონით 65,9 ცენტნერამდე, რძისა — 263,4 ცენტნერამდე, მატყლისა — 340 კილოგრამამდე და კვერცხისა 100 ჰექტარ მარცვლეული კულტურების ნათესებზე— 79,4 ათას ცალამდე; მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის რაოდენობა — 46,8 სულამდე, ძროხისა — 18,5 სულამდე, ფარეხფეხა რქიანი პირუტყვისა — 156,2 სულამდე, ღორისა 100 ჰექტარ სახნავზე — 25,7 სულამდე და ფრინველისა 100 ჰექტარ მარცვლეულ კულტურებზე — 1.866 ფრთამდე.

რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ჯისრულობენ სოციალისტურ ვალდებულებებს გაადიდონ 1961 წელს 1960 წელთან შედარებით მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება: ხორცისა 20,6 პროცენტით, რძისა 17 პროცენტით, მატყლისა 26 პროცენტით და კვერცხისა 62 პროცენტით.

საკვები ბაზის გაფართოებისა და განმტკიცებისათვის უკვე წელს მოსავლიანობის ამაღლებასთან ერთად საჭიროა გადიდოთ მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახების ნათესები, გავაუმჯობესოთ ჩვენი მდიდარი მდელოებისა და საძოვრების გამოყენება, გავაფართოოთ სიმინდის ნათესები 40 ათას ჰექტარამდე.

მთიან და მთისპირა რაიონებში, სადაც შაქრის ჯარხლის მოყვანის პირობებია, განზრახული გვაქვს მიმდინარე წლის გაზაფხულზე დავთესოთ იგი პირუტყვის საკვებად.

საზოგადოებრივი მეცხოველეობა უზრუნველყოფილი რომ იქნას კონცენტრირებული, კომბინირებული და ცილოვანი საკვებით, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო იღებენ ღონისძიებებს უახლოეს წლებში მისი წარმოების მნიშვნელოვნად გადიდებისათვის.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი რეზერვი სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობების შექმნა მთიანი რაიონების ეკონომიურად სუსტ კოლმეურნეობათა ბაზაზე.

ჩვენი რესპუბლიკის პირობებში სოფლის მეურნეობის რეალური აღმავლობის მთავარი გადამწყვეტი წყაროა წყალთა-სამეურნეო მშენებლობა, ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე ამბობდა, რომ, სანამ ჩვენ ბუნების მართვა ვერ გვისწავლია, გარანტირებული მოსავლის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა ირიგაცია.

სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო უახლოეს წლებში დიდ საირიგაციო სამუშაოთა განხორციელებას ითვალისწინებენ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის მიერ დასახული ამოცანების შესრულება მოითხოვს კადრებთან მუშაობის გაუმჯობესებას, ყველა რგოლში სახელმწიფოებრივი და პარტიული დისციპლინის გაძლიერებას, მინდობილი საქმისადმი თვითეული მუშაკის პასუხისმგებლობის ამაღლებას. ამ ახალ მოთხოვნათა მიხედვით რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოები ახლა კრიტიკულად სწავლობენ სოფლის მეურნეობის მუშაკების საქმიანობას და იღებენ ღონისძიებებს იმისათვის, რომ კოლმე

შეიძლება ორი მოსავალი!

რატომ დავიგვიწყეთ სანაწვერალო სიმინდი?

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა დიდი ყურადღება დაუთმო სიმინდის წარმოების მკვეთრად განვითარებას. პლენუმმა, ამ პლენუმზე სიტყვით გამოსულმა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა დაგვისახეს მარცვლეულის, კერძოდ, სიმინდის მოსავლიანობის გადიდების გზები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელთა წინაშე დგას მნიშვნელოვანი ამოცანა: ვაწარმოოთ მარცვლეული ისეთი რაოდენობით, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფოსათვის ყოველწლიურად 15 მილიონი ფუთი მარცვლეულის მიყიდვას, ამავე დროს დავაკმაყოფილოთ მეცხოველეობის მზარდი მოთხოვნილება კონცენტრირებულ და სხვა სახის საკვებზე. ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მემინდვრეობაში სანაწვერალო სიმინდს.

არის თუ არა შესაძლებლობა მოვიყვანოთ სიმინდის უსვი მოსავალი ნაწვერალზე? უთუოდ არის.

ალმოსავლეთ საქართველოს ბევრ რაიონში ბუნებრივი პირობები საშუალებას იძლევა ერთ საველეტაციო პერიოდში მოვიყვანოთ ორი მოსავალი, ვთესოთ სიმინდი ნაწვერალზე და ეს დიდმნიშვნელოვანი რეზერვია, რაც ამოქმედებას, გამოყენებას მოითხოვს.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის შემდეგ მარცვლეულის მოყვანის პროგრესული ღონისძიებებს ფართო გზა გაეხსნა. ნაწვერალზე სიმინდის თესვა დაინერგა სარწყავ და ტენით უზრუნველყოფილ რაიონებში. ამ მხრივ შეიძლება დავასახელოთ ლაგოდეხის, ყვარლის, გურჯაანის, სიღნაღის, თელავის, სამგორის, მარნეულის, საგარეჯოს, ქარელის რაიონები, რომლებსაც საუკეთესო პირობები აქვთ ამისათვის, რომ სარწყავ და ურწყავ ფართობებზე მიიღონ სიმინდის მეორე მოსავალი.

საკმარისია ითქვას, რომ უკანასკნელ წლებში ლაგოდეხის, ყვარლის, გურჯაანის რაიონების კოლმეურნეობები სილოსს ჩაფების გეგმებს წარმატებით ასრულებდნენ ნაწვერალზე დათესილი სიმინდით და ამავე დროს დიდი რაოდენობით იღებდნენ საფურაუე მარცვალს. ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში“ 1955 წელს 150 ჰექტარ სანაწვერალო სიმინდიდან საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 31,8 ცენტნერი მარცვალი.

ამავე რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში ნაწვერალზე დათესილი 39 ჰექტარიდან საშუალოდ ჰექტარზე მიღებულ იქნა 52 ცენტნერი მარცვალი. ყვარლის რაიონის ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში 60 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 21,8 ცენტნერი მარცვალი, ხოლო გურჯაანის რაიონის ბაკურციხის კოლმეურნეობაში მეცხრე ბრიგადამ სანაწვერალო სიმინდის ნათესიდან ჰექტარზე 622 ცენტნერი მწვანე მასა მიიღო.

ეს ფაქტები იმაზე მეტყველებენ, რომ ჩვენ დიდი შესაძლებლობა გვაქვს ნაწვერალზე დათესილი სიმინდიდან მივიღოთ როგორც სუფთა მარცვლის, ისე სასილოსე მწვანე მასის უხვი მოსავალი. მაგრამ რა მდგომარეობა გვაქვს 1959-1960 წლებში? უნდა ვაღიაროთ, რომ თითქმის ყველა რაიონში ნაწვერალზე სიმინდის სამარცვლედ თესვას ხელი შეუშვეს, ამ დიდი საქმის შეუფასებლობა გამოიჩინეს, და შედეგებიც არასახარბიელოა. უფრო მეტიც: ნაწვერალზე დათესილ სიმინდს მეცხოველეობისათვის იყენებდნენ მაშინ, როცა მცენარეს ტაროც არ ჰქონდა.

ისეთ მოწინავე კოლმეურნეობებში, როგორიც არიან ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძი“, გურჯაანის რაიონის ვაზისუბნის კოლმეურნეობა, 1960 წელს უმნიშვნელო ფართობებზე დათესეს სიმინდი ნაწვერალზე სამარცვლედ. ასეთივე მდგომარეობაა ყვარლის, თელავის, სიღნაღის, მარნეულის, ქარელისა და სხვა რაიონების თითქმის ყველა კოლმეურნეობებში. შეუწყნარებელია, რომ სანაწვერალო სიმინდის ნათესი ფართობები რესპუბლიკაში საგრძნობლად შემცირდა, რამაც, ცხადია, დიდი უარყოფითი გავლენა მოახდინა სიმინდის მარცვლის წარმოებაზე.

თუ 1955 წელს ჩვენს რესპუბლიკაში ნაწვერალზე დათესილი იყო 36 ათასი ჰექტარი სიმინდი და აქედან ნახევარზე მეტი აღებულ იქნა სუფთა მარცვლად, 1960 წელს ნაწვერალზე ნათესმა სიმინდმა მხოლოდ 26 ათასი ჰექტარი შეადგინა და 95 პროცენტი აიღეს ისე, რომ ტაროზე მარცვალი არ იყო განვითარებული. ამრიგად, მეურნეობის უყაირათო გაძღოლით დაიკარგა ათეულ ათასობით ცენტნერი სიმინდის მარცვალი და ბევრგან ვერც უყათიანი სილოსი ჩადეს.

სამარცვლე სიმინდის მოვლა-მოყვანა, ცხადია, არ შეიძლება დავუპირისპიროთ სასილოსე სიმინდის მოვლა-მოყვანას, მაგრამ სერიოზული ყურადღება უნდა დავუთმოთ ერთსაც და მეორესაც. კოლმეურნეობებში ისე უნდა მოეწყოს მუშაობა, რომ ერთხელ და სამუდამოდ დაგმონ მავნე პრაქტიკა, როცა სასილოსე სიმინდს იღებენ ძალიან ადრე, ტაროს გაკეთებამდეც კი. აგრონომების მოვალეობაა სათავეში ჩაუდგნენ ნაწვერალზე ნათესი სიმინდის მოსავლიანობის გადიდების საქმეს.

უნდა გვახსოვდეს, რომ სანაწვერალო სიმინდს შეუძლია დიდი სამსახური გაგვიწიოს. „ამიტომ მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ საამისო ადგილობრივი პირობები, გავადიდოთ სიმინდის ნათესები და მოსავლიანობა. თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღებისთანავე ნიადაგი უნდა მოიხნას, დაიფარცხოს. 2-3 დღეში უნდა დამთავრდეს ნაწვერალზე სიმინდის თესვა. უნდა ვთესოთ დარაიონებული ჯიშის თესლი, არ მოვაკლოთ მოვლა-პატრონობა. არ უნდა გამეორდეს წინა წლების შეცდომები, როცა აგროტექნიკა ირღვეოდა, სწორად არ იყენებდნენ ორგანულ და მინერალურ სასუქებს, უგულებელყოფდნენ პროგრესულ მეთოდს — კვადრატულ-ბუდობრივად თესვას.

პროგრესულ ღონისძიებათა განხორციელების დიდი შესაძლებლობა აქვთ მარნეულის, სამგორის, საგარეჯოს, გურჯაანის, სიღნაღის, ყვარლის და მთელ რიგ სხვა რაიონებს. სანაწვერალო სიმინდის თესვის, მოვლა-მოყვანის საუკეთესო პირობები აქვთ ქართლის რაიონებს, რომლებსაც სარწყავ ფართობებში შეუძლიათ ნაწვერალზე მიიღონ სამარცვლე სიმინდისა და სასილოსე მასის უხვი მოსავალი.

ამჟამად მთავარია ყოველმხრივ გავითვალისწინოთ ჩვენი რეზერვები, შესაძლებლობანი, გონივრულად დავგეგმოთ მეურნეობა, რომ წელსვე მივაღწიოთ სანაწვერალო სიმინდის მოსავლიანობის მკვეთრად გადიდებას და ღირსეული წვლილი შევიტანოთ მარცვლეულის წარმოების გადიდების საქმეში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში, ახალი წარმატებებით შევხვდეთ მშობლიური პარტიის XXII ყრილობას.

ა. ზაქარიაძე.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწათმოქმედების მთავარი სამმართველოს უფროსი.

მოსკოვი და პარიზი ამზადებს გრანდიოზულ გამოფენებს

პორტუგალიელი პატრიოტები ბაძავენ „სანტა მარიას“ ეკიპაჟის მაგალითს

დიდი თეატრის საგალეტო დასის გრწყინვალე გასტროლები

მაროკოელი ხალხის ფიქრები

რაბათი, 4 თებერვალი, (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვსა და მაროკოს მეფე მოჰამედ V შორის ვიზიტების მომავალი გაცვლის გამო ინფორმაციისა და ტურიზმის მინისტრმა ალაუმ საკდესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა:

„ეს ვიზიტები მოწმობენ იმ ურთიერთობის გულითადობას, რაც ძველთაგანვე არსებობს ჩვენს ორივე ქვეყანას შორის...

ფრანგ და ესპანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ჩვენი ხანგრძლივი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის პერიოდში ჩვენ ყოველთვის მორალურ მხარდაჭერას გვიწევდა საბჭოთა კავშირი, რომელმაც გამოაცხადა უთუო დახმარების პოლიტიკა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ყველა კოლონიური ხალხისათვის.

საბჭოთა კავშირი იყო და არის ერთგული ლენინის მოძღვრებისა, რომელიც თვით სოციალიზმის ცხენაში გულისხმობდა არა მარტო კაპიტალიზმის, არამედ კოლონიური მონობის მოსპობასაც. ი რატომაა, რომ როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში განიხილებოდა საკითხი მაროკოსათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ, საბჭოთა კავშირი ჩვენთან იყო, რადგანაც იგი ყოველთვის სიმართლისა და სამართლიანობის მხარეზეა. მას შემდეგ, რაც მაროკომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, როცა ემეკრებოდნენ ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, საბჭოთა კავშირი კვლავ ჩვენთან იყო. ჩვენ ეს მიგვაჩნია მაროკოს მიმართ საბჭოთა კავშირის პოლიტიკის თანამიმდევრულობად. მაროკოც ყოველთვის მეგობრულად და გულითადად ეკიდებოდა საბჭოთა კავშირს. ჩვენ მზად ვართ განვაგრძოთ თანამშრომლობისა და სოლიდარობის ეს პოლიტიკა არა მარტო ორივე ქვეყნის ინტერესებისათვის, არამედ თავისუფლებისა და მშვიდობის ინტერესებისათვისაც. ხრუშჩოვის, მოგზაურობა მაროკოში იქნება ჩვენი თანამშრომლობის ახალი ერის დასაწყისი“.

დიდი სტიმული

ლონდონი, 3 თებერვალი. (საკდესი). „განიარაღება და კოლონიათა განთავისუფლება“ — ასეთი სახელწოდებით გამომცემლობა „ლოურენს ენდ უიშარტმა“ ლონდონში გამოუშვა კრებული ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვებისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე გასული წლის შემოდგომაზე და მისი ინტერვიუ.

„ეს წიგნი, რომელიც გამსჭვალულია დამაჯერებელი მოსაზრებებით და დიდი ადამიანურობით, — წერს დღეს გაზეთი „დეილი უორკერი“, — მშვიდობისათვის ყველა აქტიურ მებრძოლს ახალ სტიმულს მისცემს ბრძოლაში“.

კენედის განცხადება

ნიუ-იორკი, 4 თებერვალი, (საკდესი). პრეზიდენტმა კენედიმ ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრ რიბიკოვთან თათბირის შემდეგ გამოაცხადა, რომ მიმდინარე სამეიჯერო წლის ბოლომდე (ესე იგი 30 ივნისამდე) 4 მილიონ დოლარს გამოყოფს ამერიკის შეერთებულ შტატებში მყოფი კუბელი ემიგრანტებისათვის, რომლებიც, როგორც ზაზგასმულია კენედის განცხადებაში, გამოდიან „დასავლეთ ნახევარსფეროში კომუნისტური შეჭრის“ წინააღმდეგ.

ამერიკის ოქროს მარაგი მცირდება

ნიუ-იორკი, 3 თებერვალი. (საკდეკი). ამერიკის პრესის ცნობებით, ამერიკის შეერთებული შტატების ოქროს მარაგი კვლავ მცირდება. გასული კვირის მანძილზე იგი კიდევ ცხრა მილიონი დოლარით შემცირდა და 1 თებერვლისათვის შეადგინდა 17.441 მილიონ დოლარს. სულ მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 1 თებერვლამდე შეერთებული შტატების ოქროს მარაგი შემცირდა 326 მილიონი დოლარით.

უსამართლობის მკაფიო ილუსტრაცია

მოხსენება ამერიკის სოფლის მეურნეობის მდგომარეობის შესახებ

ნიუ-იორკი, 2 თებერვალი. (საკდესი). პრეზიდენტმა კენედიმ სოფლის მეურნეობის საკითხებში თავის მრჩეველთა ჯგუფისაგან მიიღო სპეციალური მოხსენება ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის მდგომარეობის შესახებ.

მოხსენება მკაფიო ილუსტრაციაა კაპიტალისტური სისტემის უსამართლობისა, რომლის დროსაც უხვი მოსავალი, რომელიც ვერ საღდება, არღვევს ქვეყნის ნორმალურ ეკონომიურ ცხოვრებას და ამავე დროს არ ამსუბუქებს იმათ მდგომარეობას, ვინც ნახევრად მშიერია. პრეზიდენტის მრჩეველები აღიარებენ, თუ რა საფრთხე მოაქვს სოფლის მეურნეობის პროდუქტთა „ჭარბწარმოების“ კრიზისს და წინასწარმეტყველებენ, რომ შემცირდება ფერმერთა შემოსავალი, აგრეთვე ფერმერები მასობრივად მიატოვებენ მიწას.

იმ ჯგუფს, რომელმაც მოხსენება მოამზადა, მეთაურობდა ლუზიანის შტატის უნივერსიტეტთან არსებული სასოფლო-სამეურნეო კოლეჯის დეკანი ნორმან ეფერსონი. ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ „დემოინ რეგისტერის“ რედაქტორი ლორენ სოტი და „ბენეკ ოფ ამერიკის“ ვიცე-პრეზიდენტი ჯეს ტეპი.

მოხსენებაში, რომელიც იწყება სასოფლო-სამეურნეო წარმოების პერსპექტივების განხილვით, გამოთქმულია შეშფოთება იმის გამო, რომ ახლანდელი „სასოფლო-სამეურნეო პროგრამების შესაბამისად და ამინდის საშუალო პირობებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება კვლავ უფრო სწრაფი ტემპით გადიდდება, ვიდრე იზრდება ამ პროდუქციის გასაღების ბაზრები. ეს ნიშნავს, რომ, თუ პროგრამაში არ შეიტანენ რაიმე ცვლილებას, შეერთებული შტატები ძველადაც დაგროვებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების ნამატს“.

მოხსენების ავტორები ვერ ხედავენ დიდ შესაძლებლობებს, რათა გაფართოვდეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გასაღების საშინაო ბაზარი, და უიმედოდ შეჰყურებენ საზღვარგარეთის ბაზრების მნიშვნელოვანი გაფართოების პერსპექტივებს. „თუ ახლანდელი პროგრამები არ შეიცვლება, ნათქვამია შემდეგ მოხსენებაში, მაშინ უნდა მოველოდეთ ფერმერთა წმინდა შემოსავლის შემდგომ შემცირებას უახლოეს ხუთ წელიწადში“.

მოხსენებაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ პირობების გაუარესება სოფლის მეურნეობაში გამოიწვევს იმას, რომ ფერმერები მასობრივად მიატოვებენ მიწას. ამ პროცესის სისწრაფე, ნათქვამია მოხსენებაში, დამოკიდებული იქნება საერთოდ ეკონომიკის მდგომარეობაზე და მრეწველობაში უმუშევრობის დონეზე. თუ უმუშევართა რიცხვი მრეწველობაში უწინდებურად გადააჭარბებს 6 პროცენტს, მაშინ, მოხსენების ავტორთა აზრით, ფერმერთა მასობრივი წასვლა მიწიდან რამდენიმე შენელდება ქალაქებში სამუშაოს უქონლობის გამო.

მოხსენების ავტორები აცხადებენ, რომ „მარცვლის ნამატის ლიკვიდაციის უაღრესად პრაქტიკული გზაა“ მთავრობის ამ პროგრამების მნიშვნელოვანი გაფართოება, რომლებიც ითვალისწინებენ წარმოებიდან სავსებით გამოირიცხოს სახნავ-სათესი მიწების ნაწილი. „ამ მიწებზე, — ნათქვამია მოხსენებაში, — არ მოიწევენ ისეთ კულტურებს, რომლებიც ბაზარში საღდება, ან პირუტყვის საკვებად იყენებენ, და მათ არ გამოიყენებენ საძოვრებად“. ავტორები წერენ, რომ ფერმერებმა, ვიდრე მიიღებენ რაიმე დახმარებას მთავრობის სხვადასხვა პროგრამის საფუძველზე, მონაწილეობა უნდა მიიღონ სახნავ-სათესი მიწების შემცირების პროგრამაში.

ამ მიზნის მისაღწევად მოხსენებაში აგრეთვე რეკომენდებულია, რომ მთავრობამ შეავიწროს მიწების მელიორაციის პროგრამები.



— შეხედე, როგორ სცემენ ლუმუმბას, კონგოს ხალხის მიერ არჩეულ პრემიერ-მინისტრს!

— იქნებ საჭიროა, რომ ჩვენ ჩავერიოთ!

— ხომ არ გაგიჟებულხარ? ჩვენ აქ იმისათვის გამოგვგზავნეს, რომ ადამიანის უფლებებს ვიცავდეთ. იმათ კი, ვინც კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ გამოდის, ყოველთვის სწორედ ასე ექცეოდნენ!

ბიდსტრუპის ნახატი დანიურ გაზეთ „ლანდ ოგ ფოლკიდან“

ადამიანის უფლებები კონგოში

როგორც ცნობილია, პატრის ლუმუმბასა და მის თანამებრძოლებს, რომლებიც მობუტუელმა ავადმყოფობა ელიზაბეტვილში ჩაიყვანეს, სასტიკად სცემეს. კონგოელ პატრიოტებთან ბარბაროსულ მოპყრობას გულგრილად აღიქვენებდნენ თვალს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების ჯარისკაცები, თანამემამულენი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ჰამარშელდისა, რომელმაც დასტური მისცა ლუმუმბას უკანონოდ დაპატიმრებას.

ტელეგრამა

პარიზი

8 თებერვალი. (საკდესი). კონგოში მარიონეტები, რომლებიც ეყრდნობიან კოლონიური სახელმწიფოების მხარდაჭერას, განაგრძობენ ერთიანი ფრონტის შექმნას ლუმუმბა-გიზენგის კანონიერი მთავრობის ძალების წინააღმდეგ. ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი იუწყება, რომ გუშინ ელიზაბეტვილში ჩომბემ და კალონჯიმ ხელი მოაწერეს შეთანხმებას კატანგასა და სამხრეთ კასაის ეგრეთწოდებულ „სამთამადნო სახელმწიფოს“ შორის „თანამშრომლობის შესახებ სამხედრო, ეკონომიურ და ფინანსურ დარგებში“.

ნიუ-იორკი

3 თებერვალი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტო იუწყება, ბრაზილიის მთავრობამ ოფიციალურად მისცა პოლიტიკური თავშესაფარის უფლება „სანტა მარიაზე“ მოძმდარი აჯანყების ხელმძღვანელს კაპიტან ენრიკე გალვაოსა და სხვა აჯანყებულებს. პოლიტიკური თავშესაფარის უფლება გარანტირებულია წერილში, რომელიც ბრაზილიის პრეზიდენტმა ჟანიო კუადროსმა გაუგზავნა ბრაზილიის საგარეო საქმეთა მინისტრს ალფონსო არინოსს.

პარიზი, 4 თებერვალი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საგენტო ბრაზილიიდან იუწყება, ბრაზილიის პრეზიდენტმა ჟანიო კუადროსმა მიიღო გადაწყვეტილება პორტუგალიის მთავრობის განკარგულებაში გადასცეს ლაინერი „სანტა მარია“, რომელიც ამჟამად რესიფში (ბრაზილია) ღუზაზე დგას.

ლონდონი

3 თებერვალი. (საკდესი). გამოვიდა რა პარლამენტში, სამხრეთ აფრიკის კავშირის იუსტიციის მინისტრმა ერაზმუსმა, როგორც რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი იუწყება, განაცხადა, რომ საგანგებო მდგომარეობის კანონის საფუძველზე, რომელიც სამხრეთ აფრიკის კავშირში შემოღებულია მარტივეილის ამბების შემდეგ, მთელ სახელმწიფოში დაპატიმრებულ იქნა 11.279 აფრიკელი.

საგანგებო წესები სამხრეთ აფრიკის კავშირში შემოღებულ იქნა შარპვილში აფრიკელთა მშვიდობიანი დემონსტრაციის დახვრეტის შემდეგ, რომლებიც პროტესტს აცხადებდნენ რასობრივი დისკრიმინაციის მხეცური პოლიტიკის წინააღმდეგ. მთავრობის ჯარებმა და პოლიციამ მაშინ დახოცეს 72 და დაჭრეს 176 აფრიკელი.

ეროპულის მიერ მოყვანილი მონაცემები დაპატიმრებათა შესახებ ცხადყოფენ სამხრეთაფრიკელ რასისტთა მისწრაფებას ძალით ჩაახშონ სამხრეთ აფრიკის კავშირის მკვიდრი მოსახლეობის მზარდი წინააღმდეგობა აპარტეიდისა და ადამიანის უფლებათა ფეხქვეშ გათელვის პოლიტიკისადმი.

ტუნისი

4 თებერვალი. (საკდესი). ალჟირის რესპუბლიკის ინფორმაციის სამინისტროს წარმომადგენელმა მტკიცე პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ ფრანგმა ხელისუფლებამ ამ კვირაში საკვდილით დასჯეს ალჟირელი პატრიოტი სალაჰ დეჰილი.

ასეთი აქტებისათვის, ნათქვამია ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის განცხადებაში, მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება საფრანგეთის მთავრობას.

კაირო ტა'მს უკრავს...

კაირო, 3 თებერვალი. (საკდესი). კაიროს ოპერის თეატრში სპექტაკლით „გედის ტბა“ დაიწყო გუშინ სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის სბალეტო დასის გასტროლები ვლადიმერ პრეობრაჟენსკის მხატვრული ხელმძღვანელობით.

სპექტაკლში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი მაია პლისეცკაია და ლეონიდე ყდანოვი, ნინო ფედოროვა, ალბერტ ტრუშინი და რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი გიორგი ფარმანიანცი.

სპექტაკლმა უდიდესი წარმატებით ჩაიარა. დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით. მაყურებლები საბჭოთა მსახიობებს მიესალმნენ მჭუხარე ტაშით და შეძახილებით: „ბის“, „ბრავო“.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა გამალ აბდელ ნასერმა დასის მსახიობებს გაუგზავნა ყვავილებით სავსე დიდი კალათი.

შეეხო რა საბჭოთა მსახიობების პირველ გამოსვლებს, კაიროს ოპერის თეატრის დირექტორმა მაჰმუდ ნაბასმა საკდესის კორესპონდენტს განუცხადა, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის სბალეტო დასის გასტროლები „ყველაზე დიდი და საუკეთესო სარეკლამოა ჩვენი მაყურებლებისათვის“.

„ვერავითარი ტაში ვერ გამოხატავს ჩვენს აღტაცებას! უღრმეს მადლობას ვუძღვნით საბჭოთა მსახიობებს“, — თქვა მან.

დღეს გაზეთები დიდ ყურადღებას უთმობენ დიდი თეატრის მსახიობთა პირველ გამოსვლებს.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის კულტურისა და ეროვნული ხელმძღვანელობის სამინისტრომ დასის ხელმძღვანელებს მიმართა თხოვნით ეწვიონ აგრეთვე არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სირიის რაიონსა და ალექსანდრიას.

გაბათილებული მონაჭორი

პანმი, 3 თებერვალი, (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო საგენტო იუწყება, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა პრეს-კონფერენციაზე გადაჭრით უარყო ხმები ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეგრეთწოდებული „აგრესიის“ შესახებ ლაოსში.

მონაჭორი იმის შესახებ, რომ ლაოსის ტერიტორიაზე ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის თერმეტი ბატალიონი იმყოფება, რასაც ხშირად იმეორებენ ლაოსელი რეაქციონერები, განაცხადა საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა, ბუნ უმ-ნოსავანის ხროვის უსინდისო ცილისწამებაა და მეტი არაფერი, რადგან დასავლეთის საგენტოებიცა და ბუნ უმის ერთ-ერთი „მინისტრიც“ კი იძულებული გახდნენ ეღიარებინათ, რომ უსაფუძვლოა ლაოსში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის აგრესიის შესახებ მტკიცება.

შეეხო რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ამასწინანდელ გადაწყვეტილებას, რომ ლაოსში ახალ „სპეციალურ წარმომადგენლად“ გაიგზავნოს ტუმბოია, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ეს შეფასა როგორც აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას და ირღვევა ქვეყნის შეთანხმებებს ლაოსის შესახებ.

≈≈●≈≈

გელგიელ მოხელეთა კარნახით

ლონდონი, 3 თებერვალი, (საკდესი). გაზეთმა „დეილი უორკერმა“ გუშინ გამოაქვეყნა წერილი კაპპალის (უგანდა) მცხოვრებისა, რომელიც მოგვითხრობს, თუ რა მხეცობას სჩადიან ბელგიელი კოლონიზატორები რუანდა-ურუნდიში. იგი, კერძოდ, წერს:

„არასოდეს არ შეეხვედრიხარ ესოდენ ულმობელ, მძვინვარე, სიბიზღარ და დაუნდობელ ადამიანებს, რომლებიც საშუალებას არ არჩევენ, როგორიც არიან ბელგიელი კოლონიზატორები აფრიკაში...“

„მე ვნახე, — წერს იგი, კერძოდ, — რომ ბელგიელი პარაშუტისტები დადიოდნენ მიწაზე მწოლარე აფრიკელების თავებზე, და თუ რომელიმე აფრიკელი ტკივილისაგან ამ დროს ვინძრეოდა, მაშინვე დაარტყამდნენ თოფის კონდახს წელზე“.

წერილის დასასრულს ხაზგასმულია, რომ ასეთ მხეცობას სჩადიან უმაღლესი თანამდებობის ბელგიელ მოხელეთა კარნახით, რომლებიც ხშირად თვითონ ესწრებიან ასეთ დასჯას, „რადგან განსაკუთრებულ სიამოვნებას პოულობენ ამით“.

იაპონია. კუნძულ კიუსიუზე ქალაქ ომუტას ათასამდე მცხოვრები შეიკრიბა მიტინგზე, რათა გაეცილებინათ ათასკილომეტრიანი ლაშქრობის მონაწილენი, რომლებიც ტოკიოში მიემართებიან, დედაქალაქში ერთმანეთს შეხვდებიან ლაშქრობის მონაწილენი იაპონიის ყველა კუთხიდან. ისინი ერთობლივად იმოქმედებენ სიღატაკისა და უმუშევრობის წინააღმდეგ.

სურათზე: ქალაქი ომუტა, ლაშქრობის მონაწილეთა გაცილება.

ფოტო ჯაპან პრესის საგენტოსი

ამერიკელ ოლქრეს მარამი მსიერდეგ

ნიუ-იორკი, 3 თებერვალი. (საკდეკი). ამერიკის პრესის ცნობებით, ამერიკის შეერთებული შტატების ოქროს მარაგი კვლავ მცირდება. გასული კვირის მანძილზე იგი კიდევ ცხრა მილიონი დოლარით შემცირდა და 1 თებერვლისათვის შეადგინდა 17.441 მილიონ დოლარს. სულ მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 1 თებერვლამდე შეერთებული შტატების ოქროს მარაგი შემცირდა 326 მილიონი დოლარით.

ლაზარის რეჟიმი ძირმომპალია

ლონდონი, 3 თებერვალი. (საკდესი). ლაინერ „სანტა მარიაზე“ პორტუგალიელ პატრიოტთა აჯანყებამ და მასთან დაკავშირებულმა ამბებმა ცხადყო, რომ დიქტატორ სალაზარის რეჟიმი პორტუგალიაში ძირმომპალია, — ასეთი დასკვნა უნდა გავაკეთოთ ინგლისის ყოველკვირეულთა ცნობიდან პორტუგალიაში არსებული მდგომარეობის შესახებ.

ყოველკვირეული „ნიუ-სტეიტსმენი“ წერს, რომ „სანტა მარიაზე“ აჯანყების შედეგად სალაზარის მმართველობის 30 წლის განმავლობაში პირველად „გაიგო მსოფლიომ, როგორია მისი რეჟიმისადმი ოპოზიციის მასშტაბი და სიმტკიცე“. ლაპარაკობს რა პორტუგალიელი ხალხის ცხოვრების დონეზე, „ნიუ-სტეიტსმენი“ აღნიშნავს, რომ სურსათის საშუალო მოხმარება პორტუგალიაში უკანასკნელ წლებში ყველაზე დაბალი იყო ევროპაში და რომ ამ მხრივ პორტუგალია შეიძლება შევადაროთ მხოლოდ ტუნისსა და კონგოს.

თანახმად პორტუგალიის სამედიცინო ასოციაციის მოხსენებისა, რომელიც 1960 წლის მარტში გამოქვეყნდა, ტუბერკულოზით დაავადება და სიკვდილიანობა პორტუგალიაში ყველაზე მაღალია ევროპაში.

ამავე ასოციაციის მონაცემებით, ყოველი ათასი ახალდაბადებულიდან 88 ბავშვი ვერ ცოცხლობს წლამდე, მაშინ როცა ბავშვთა სიკვდილიანობა 102 სხვა ქვეყანაში ათას ბავშვზე საშუალოდ შეადგენს 50-ს.

დიდი წვლილი მშვიდობის საქმეში

პარიზი, 3 თებერვალი. საკდესის კორესპონდენტი გ. დრაგუნოვი იუწყება: საფრანგეთის საზოგადოებრიობის ფართო წრეებში დიდი ინტერესი გამოიწვია ცნობამ, რომ მიმდინარე წლის აგვისტო-სექტემბერში პარიზში გაიხსნება საბჭოთა გამოფენა, ხოლო მოსკოვში— გამოფენა, რომელიც მოგვითხრობს საფრანგეთის ცხოვრების შესახებ. რას წარმოადგენენ ეს გამოფენები? პასუხი ან და ბევრ სხვა კითხვაზე მოგვცეს დღეს საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ მ. ნესტეროვმა და მოსკოვში საფრანგეთის გამოფენის გენერალურმა კომისარმა რ. ბორდაზმა სპეციალურ „პრეს-კონფერენციაზე.

◇ გახსნა რა პრეს-კონფერენცია, ინფორმაციის მინისტრმა ლ. ტერნუარმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სსრ კავშირისა და საფრანგეთის გამოფენების მოწყობა დიდმნიშვნელოვანი წვლილია მშვიდობის, ხალხთა ურთიერთგაგების, საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული და ეკონომიური ურთიერთობის შემდგომი განვითარების საქმეში. ეს შეესაბამება აგრეთვე აღნიშნა მინისტრმა, ჩვენი ორი ხალხის ერთმანეთისადმი მისწრაფებას.

საბჭოთა კავშირის გამოფენა პარიზში, თქვა მ. ნესტეროვმა, გაიხსნება 4 სექტემბერს. იგი მოთავსდება 22 ათას კვადრატულ მეტრ ფართობზე გამოფენათა პარკში ვერსალის კართან. როგორც სიდიდით ისე ექსპონატების რაოდენობითა და მრავალფეროვნებით ეს იქნება ერთ-ერთი უდიდესი საბჭოთა გამოფენა საზღვარგარეთ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს იქნება საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიაში პირველი ამგვარი გამოფენა და, გარდა იმისა, რომ საფრანგეთის საზოგადოებრიობას გააცნობს საბჭოთა კავშირის ცხოვრებას, იგი ეშვი არ არის ხელს შეუწყობს საქმიანი ურთიერთობის გაფართოებას ორივე ქვეყანას შორის.

იმ დარბაზის ცენტრში, სადაც პრეს-კონფერენცია მიმდინარეობს, დადგმულია მაკეტი საფრანგეთის მომავალი გამოფენისა მოსკოვში, რომელიც 15 აგვისტოს გაიხსნება სოკოლნიკის კულტურისა და დასვენების პარკში. გამოფენის გენერალური კომისარი რ. ბორდაზი ამბობს, რომ მრგვალი მთავარი პავილიონი დამთვალიერებლებს გააცნობს საფრანგეთსა და მის ხალხს. საფრანგეთის ინდუსტრიისა და საფეიქრო მრეწველობის პროდუქციაზე უამბობენ სპეციალური პავილიონების ექსპონატები. ჩვენ აგრეთვე გვსურს გავაცნოთ გამოფენის დამთვალიერებლებს საფრანგეთის კულტურული და მეცნიერული ცხოვრება, განაგრძობს იგი. ამას მიეძღვნება კულტურის პავილიონის ექსპონატები.

პრეს-კონფერენციის დასასრულს ეუბნალისტებმა მისცეს მრავალი კითხვა, რომლებიც მოწმობენ,

კომუნისტი

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲡᲝᲛᲔᲗᲘ ხალხი საუკუნეთა მანძილზე ქმნიდა თავის ხელოვნებას, რომლის მრავალმა ნიჭიერმა წარმომადგენელმა საქვეყნოდ გაითქვა სახელი. **ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ:** სომხეთის სსრ დამსახურებული არტისტი ა. ᲨᲐᲰᲜᲐᲖᲐᲗᲘᲐᲜᲘ.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ

Ბ. ᲐᲠᲙᲐᲓᲘᲔᲕᲘ

ᲒᲐᲡᲣᲚᲘ სპორტული სეზონის მაჩვენებლებით აზერბაიჯანელი ფეხბურთის მოყვარულები „ნეფტიანიკის“ გუნდის არცთუ ისე კმაყოფილი არიან. მართალია, ამ სეზონში გუნდი მრავალი წლის შემდეგ პირველად გამოვიდა „ა“ კლასში, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ კოლექტივში მომხდარ სიახლეებს, შემადგენლობის გაძლიერებას, მას უთუოდ მეტი მოეთხოვებოდა.

ვფიქრობ ჩვენი დღევანდელი შემადგენლობით, შეიძლება უკეთესი თამაში და მეტი წარმატების მოპოვება. შემადგენლობა ძირითადად იგივე რჩება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ორ მოთამაშეს, რომლებიც ხარკოვის „ავანგარდიდან“ და ლიპეცკის „შრომითი რეზერვებიდან“ გადმოვიყვანეთ. ესენი არიან: მცველი ტროფიმოვი და თავდასხმელი მანგესარი. ვხრუნავთ აგრეთვე რეზერვებისათვის. ამ მიზნით აზერბაიჯანის საკლუბო გუნდებიდან გადმოვიყვანეთ ნიჭიერი ახალგაზრდები.

წვრთნას რამდენიმე კვირაა შევუდექით, ვარჯიში მიმდინარეობს ყოველდღიურად, გარდა კვირისა. მარტის შუა რიცხვებიდან გავემგზავრებით შავი ზღვის სანაპირო კურორტებზე, სადაც მოვაწყობთ საკონტროლო მატჩებს. პირველ ქვეჯგუფში ძლიერ მეტოქეებთან გვაქვს საქმე, მაგრამ ვეცდებით აქ საპატიო შედეგს მივაღწიოთ.

ჩვენი პირველი მიზანია მოვხვდეთ ფინალურ ჯგუფში, ამასთანავე მაყურებელს კარგი თამაში ვუჩვენოთ.

Გ. ᲐᲜᲓᲠᲘᲐᲡᲘᲐᲜᲘ

ᲔᲠᲔᲕᲜᲔᲚᲘ მაყურებლები გასული სეზონის შედეგების მიხედვით ჩვენს გუნდს არ ემღერიან. სპარტაკელებმა ჩემპიონატში მონაწილე დებიუტანტთა შორის პირველი ადგილი დაიკავეს, თავი ისახელეს პასუხსაგებ მატჩებში, აგრეთვე საერთაშორისო შეხვედრებში. მაგრამ ამ ბრძოლამ წარმატებებთან ერთად ნაკლოვანი მხარეებიც გამომაჟღავნა. მაგალითად, თუ ერევნელებმა 15 თამაშიდან გასულ სეზონში თავიანთ მოედანზე მხოლოდ 1 თამაში წააგეს, სამაგიეროდ მოჩინაალმდეგეთა მოედანზე ამდენივე თამაშიდან მხოლოდ 1 მატჩი მოიგეს.

გავიხსენოთ თამაში მოსკოველ თანაკლუბელებთან. დედაქალაქში დავმარცხდით 0:4, ხოლო ერთი კვირის შემდეგ ამავე გუნდთან შეხვედრა ერევანში მოვიგეთ 4:1. როგორც ვხედავთ, აქ წარმატებასთან ერთად ხარვეზებიც გვაქვს, ამ ხარვეზს შევსება ესაჭიროება.

გუნდში ცვლილებებია. ეს გამოიხატება მოთამაშეთა გადასვლა-გადმოსვლით, ბრძოლის ტაქტიკური სქემით, რეზერვებისათვის ზრუნვით. საბჭოთა არმიაში გაწვევის გამო კოლექტივს ჩამოშორდნენ ოვივიანი და მელქონიანი. სამაგიეროდ გუნდს დაუბრუნდნენ სპორტის დამსახურებული ოსტატი, სპარტაკელთა კაპიტანი კიგიანი, ამბარცუმიანი და სხვ.

ცხადია, ყოველი გუნდისათვის ოცნებად რჩება ოქროს მედლები, მაგრამ ჩვენ ხუთეულში მოხვედრასაც დავჯერდებთ.

სხვებთან ერთად ერევნის „სპარტაკი“ განაგრძობს მზადებას ახალი სეზონისათვის. ამ სეზონს მომავლის იმედით შესცქერის გუნდის თვითეული წევრი.

Ა. ᲨᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐ

ᲗᲕᲘᲗᲔᲜᲗᲕᲘᲡ ცნობილია სიახლენი ახალ ჩემპიონატში, ახალი კალენდარი, მომავალი საერთაშორისო მატჩები. ეს სიახლენი ყოველი გუნდისაგან მოითხოვს გაცილებით მეტს, ვიდრე ოდესმე. ახლა ქვეჯგუფებში ბრძოლა უფრო საინტერესო და პასუხსაგები გახდა, რადგან ფეხბურთელთა იმ კოლექტივებს, რომლებიც უძლიერესთა ხუთეულში და ამასთან ერთად ფინალში გავლენ დასკვნითს ასპარეზობაში ითვლებათ ურთიერთ შეხვედრის შედეგები.

XXVIII ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲐ. 4 თებერვალი. (ტელეფონით). დღეს დედაქალაქის რკინიგზელთა კულტურის ცენტრალურ სახლში გაიმართა საბჭოთა კავშირის საჭადრაკო პირველობის მორიგი, მე-16 ტური.

გათამაშებული ათი პარტიიდან შედეგიანი მხოლოდ ხუთი აღმოჩნდა, დანარჩენი 5 პარტია მძაფრი ბრძოლის შემდეგ გადაიდო.

ბ. სპასკიმ სძლია ა. ლუტიკოვს და გათამაშების ცხრილში კიდევ ერთი ქულა ჩაიწერა. ი. ბოლესლავსკი-ე. გელერის, ი. ავერბახ-ლ. შტეინის, ა. ხასინ-ა. ბანიკისა და მ. ტიმანოვ-ვ. სმაგინის პარტიებში ფიქსირებულ იქნა ყაიმი.

გადადებულ პარტიებში ლიდერს — ტ. პეტროსიანს უკეთესი პოზიცია აქვს გროსმაისტერ ლ. პოლუგაევსკისთან, სსრ კავშირის ჩემპიონს ვ. კორჩნოის ზედმეტი პაიკი აქვს დ. ბრონშტეინთან.

Ვ. ᲒᲝᲠᲘᲡᲔᲜᲙᲝ — ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲐ. 4 თებერვალი. (ტელეფონით). დამთავრდა ვ. ბორისენკოსა და ტ. ზატულოვსკაიას მატჩი ჭადრაკში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის გამოსავლინებლად ქალთა შორის.

როგორც ვიუწყებოდით მეორე პარტია გადადიოდა ვ. ბორისენკოსათვის უკეთეს პოზიციაში, სადაც ბევრი, საერთაშორისო ოსტატს იოლ გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა. დღეს გაიმართა პარტიის დამთავრება.

ტ. ზატულოვსკაია წარმატებით იცავდა თავს. მას ჰქონდა შესაძლებლობა მოწინააღმდეგის მეფე ორ სვლაში დაეშამათება, მაგრამ ვერ შეამჩნია იგი და დამარცხდა.

ამრიგად, მერვე პარტიაً მოიგო სვერდლოვსკელმა საერთაშორისო ოსტატმა და ანგარიში გახდა 4,5:3,5. ვ. ბორისენკომ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება ქალთა შორის.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ

Დ. ᲛᲔᲯᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: თბილისის „დინამოსა“ და ერევნის „სპარტაკის“ მატჩის ერთ-ერთი მომენტი თბილისის „დინამოს“ სტადიონზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

5 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ: ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — წითელ-ქუდა (დღისით), აბესალომ და ეთერი (საღამოს, მე-2 ამონ. მე-5 წარმ.), რუსთაველის სახელობის — ჰამლეტი (დღისით და საღამოს), მარჯანიშვილის სახელობის — მე, ბებია, ილიკო და ილარიონი (დღისით), დამოკლეს მახვილი (საღამოს), გრიბოედოვის სახელობის — სახიფათო ასაკი (დღისით და საღამოს), ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — საყვარელი დისშვილი.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ: 12.00 — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 12.15 — უფროსკლასელთათვის — „პირველი რესპუბლიკაში“, 12.30 — მხატვრული ფილმი — „არტიომკის თავგადასავალი“, 14.00 — ინგლისური ენის გაკვეთილი, 18.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.30 — გადაცემა ციკლიდან „იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა საპასუხოდ“ — „მეგობრობის ძალა“, 18.45 — კონონარკევი, 19.15 — „იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა საპასუხოდ“. გადაცემა — „ახალი სახურავები“, 19.30 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 19.50 — პოეტები სტუდიაში, 20.00 — სატელევიზიო დადგმა — „თვალუწვდენელი სივრცეები“ (პირველი ნაწილი, მოსკოვის ტელევიზიის გადაცემა), 21.45 — ახალი ამბები.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილე ების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80. სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, წერილების — 3-73-24, ინფორმაციის — 3-16-90, საილუსტრაციო — 3-20-43, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42.

ᲣᲔ 00920 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

ᲮᲣᲗ ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲖᲔ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ

ᲢᲠᲔᲚᲘᲡ „აზმორნეფტერაზვედკის“ ბურღვის პირველი კანტორის მოწინავე ხაძიებო ბრიგადებმა კარგად დაიწყეს ახალი წელი და ახლა, იკისრეს რა მაღალი ვალდებულებები სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავად, კიდევ უფრო კარგად მუშაობენ. № 28 ჭაბურღილზე, რომელსაც ბურღავენ ცნობილი ოსტატები ტიგრან გუკასოვი და მაჰერამ ნაგიევი, უკვე მიღწეულია უდიდესი სიღრმე — 5.014 მეტრი. ყველაზე პროდუქტიული ფენების მისაღწევად საჭიროა გაიბურღოს კიდევ 26 მეტრი. ეს არც ისეთი ადვილი ამოცანაა ბაქოელი მბურღავების პრაქტიკაში უმაგალითო სიღრმისათვის. მაგრამ ბრიგადის კოლექტივი გაბედულად მუშაობს. მან ვალდებულება იკისრა ბოლომდე მიიყვანოს ბურღვა. ეს იქნება მისი წვლილი შვიდწლედის მესამე წლის გეგმის შესრულებაში.

ოთხ კილომეტრზე მეტ სიღრმეზეა ამჟამად № 182 ჭაბურღილის სატები. ეს ჭაბურღილი მდებარეობს ყარადაღ-ზღვის სანაპიროზე. ამ ბრიგადას ხელმძღვანელობენ გამოცდილი ოსტატები ალექსანდრე ელიზაროვი და ბორის ჩალი. პროექტის მიხედვით ბურღი უნდა ჩავიდეს ხუთ კილომეტრ სიღრმეზე, გარდა ამისა აქვს გადახრა ვერტიკალიდან 615 მეტრი.

№ 95 ჭაბურღილის ბურღვის თვენახევრით ადრე დამთავრება იკისრა ოსტატ რ. მაკიანის ბრიგადამ. ამ კოლექტივმა ეს არის გადასცა № 61 ჭაბურღილი, რომელსაც ოთხ კილომეტრზე მეტი სიღრმე აქვს. იგი მდებარეობს ღია ზღვაში კუნძულ პესჩანის მახლობლად.

„ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲠᲪᲮᲚᲔᲑᲘ“ — უწოდებენ ჩვენში ტყავის ბურთის ოსტატებს, რომლებიც წლის ამ ულამაზესი დროის ყველაზე ადრეული მახარობლები არიან. ეს გაზაფხული ხომ ჩვენში—აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს მოძმე რესპუბლიკებში ყველაზე ადრე იწყება.

დიახ, ფეხბურთის გაზაფხული დგას ამიერკავკასიაში. აზერბაიჯანელი, სომეხი და ქართველი გულშემატკივრები მომავლის იმედით შეჰყურებენ თავიანთ გუნდებს — პირველ რიგში ბაქოს „ნეფტიანიკს“, ერევნის „სპარტაკს“ და თბილისის „დინამოს“.

სწორედ ამ ქალაქებში — ბაქოში, ერევანსა და თბილისში აღმართავენ მ აპრილს მორიგი ჩემპიონატის ალამს, სწორედ ამ ქალაქებში გაიმართება პირველი კალენდარული მატჩები „ა“ კლასის უძლიერესი კოლექტივების მონაწილეობით.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს საუბარი ჰქონდა ბაქოს „ნეფტიანიკის“, ერევნის „სპარტაკისა“ და თბილისის „დინამოს“ მწვრთნელებთან—ბ. არკადიევთან, გ. ანდრიასიანთან, ა. ჟორდანიასთან იმის შესახებ, თუ როგორ ემზადებიან ფეხბურთის ახალი სეზონისათვის.

აი რა განაცხადეს მათ:

ᲐᲥᲢᲔᲒᲘᲐᲜᲘ ᲡᲣᲞᲘ

ᲜᲐᲡᲠᲔᲓᲘᲜᲘᲡ ᲙᲐᲚᲛᲘᲗ

ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲓᲐᲜ ადგილზე მოხეტიალე ნასრედინი მირ-ბაშირის რაიონში მოხვდა. სტუმარს ყველგან გულთბილად ხვდებოდნენ, მაგრამ ყველაზე სტუმართმოყვარე კოლმეურნეობის თავმჯდომარე იუსიფი აღმოჩნდა.

— არ გაგიშვებ, სანამ ჩვენს პურმარილს არა ნახავ. ადათი მოითხოვს.

— კარგი, — უპასუხა ნასრედინმა. — ადათი ადათია. ამასთან შიმშილი \ მაწუხებს.

თავმჯდომარე დაფაცურდა:

— წავიდეთ მეფრინველეობის ფერმაში. რა მსუქანი ბატები ჰყავთ, იცი? თითებს გაილოკავ.

ნასრედინმა ეჭვით შეხედა თავმჯდომარეს:

— საიდან გყავთ ეს ბატები?

გადავცვალეთ: ორი ფურკამეჩი მივეცით სხვა კოლმეურნეობას, მან კი სამაგიეროდ 180 ბატი მოგვცა.

ასე ლაპარაკით მივიდნენ ფერმაში.

— აბა, — უთხრა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ფერმის გამგეს ალის, — ამოგვირჩიე მსუქანი ბატი და სუპი მოგვიხარშე.

მაგრამ ალიმ ხელები გაშალა: „არც მსუქანი გვყავს და არც გამხდარი. ყველამ ალაჰს მიაბარა სული. აი აქტები“.

ნასრედინმა დახედა აქტებს: გამოდიოდა, რომ ფერმაში ყოველდღე ათი ბატი მაინც აბარებდა სულს ალაჰს.

— სული გასაგებია,— თქვა მოლამ, — მაგრამ ხორცი რა იქნა?... თუმცა, ერთხელ მეც... უფრო სწორად ერთ ახირებულს დაემართა ასეთივე ამბავი. ჩავიდა ტბაში, რომელშიც ჭიანჭველასავით ირეოდნენ ბატები. უნდოდა ერთი მაინც დაეჭირა სასუპედ. მაგრამ ყველა ბატი გაფრინდა. რა უნდა ექნა? ამოიღო ხურჯინიდან პურის ქერქი, დაალბო ტბაში და წარმოიდგინა, რომ ბატის სუპს ჭამდა. ეს პატარა ნუგეში იყო მისთვის.

თქვენ საქმე უარესად გქონიათ, აღარც ბატები გყავთ, აღარც ფურკამეჩები. მარტო აქტები დაგრჩენიათ. სცადეთ მოხარშოთ და მიირთვათ, მე კი წავედი...

Ჯ. ᲐᲚᲘᲔᲕᲘ.

„ᲑᲐᲙᲘᲜᲡᲙᲘ ᲠᲐᲑᲝᲩᲘ“.

ᲡᲐᲢᲘᲠᲐ ᲓᲐ ᲰᲣᲛᲝᲠᲘ

ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲝᲡᲘᲡ ᲬᲘᲬᲘᲚᲔᲑᲘ

ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ თავმჯდომარემ ერთ დღეს სტეფანოსი გამოიძახა კაბინეტში და უთხრა:

— მინდა წიწილების ფერმა ჩაგაბარო. რას იტყვი?

— კარგია, მაგრამ როგორღაც მეშინია! უნდოდა კიდევ რაღაცა ეთქვა სტეფანოსს, მაგრამ თავმჯდომარემ არ აცალა ლაპარაკი, ხელი ჩაიქნია და ბრძანების კილოზე უთხრა:

— სალაპარაკო აღარაფერია, ხვალვე ჩაიბარე ფერმა და შეუდექი მუშაობასო.

მეორე დღეს სტეფანოსი უკვე ფერმაში იყო წიწილების მომვლელად. ამ პატარა არსებებს სტეფანოსი ცუდად როდი უვლიდა, მაგრამ დრო და დრო ორასამი წიწილა მაინც კვდებოდა.

ერთ დღეს სტეფანოსმა ცოლს შესჩივლა:

— დედაკაცო, წიწილები სიცივისაგან იხოცებიან!

— არაფერია, ახალი ამბავი ხომ არ არის, ხდება, ხოლმეო — უპასუხა ცოლმა.

მეორე დღეს სტეფანოსმა ცოლს ისევ შესჩივლა:

—დედაკაცო, რა ცეცხლში ჩავვარდი, დღეს ათი წიწილა დაიკარგა.

— ფიქრი ნუ გაქვს, ხდება ხოლმე, — ისევ გულგრილად ანუგეშა ცოლმა ქმარი.

გაიარა რამდენიმე დღემ. ერთხელაც სტეფანოსი შინ რომ დაბრუნდა, ფანჯრიდან დაინახა ეზოში მოსეირნე კრუხი წიწილებიანად, ფერმაში დილიდან საღამომდე წიწილების თვლას მიჩვეულმა სტეფანოსმა, აქაც ვეღარ მოითმინა და გაფაციცებით დაუწყო თავიანთ წიწილებს თვლა. დაითვალა ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, წიწილებს აკლდა.

— დედაკაცო, ერთი წიწილა აკლია.

— ეეხ, ხდება ხოლმე, არაფერია! — სხვათაშორის უპასუხა ცოლმა.

— გადაირიე, ქალო? ჩვენი წიწილაა დაკარგული.

— რაო? — შეეტუნდა ქალი, — ჩვენი წიწილა? არ შეიძლება მოხდეს.

— ვითომ რატომაო? თუ კოლმეურნეობისა ათი წიწილა შეიძლება დაიკარგოს, ჩვენი რა, ხვთისაა თუ?

— აბი წადი, სანამ წიწილას არ იპოვნი, შენი ფეხი არა ვნახო სახლში, — დაუცაცხანა ცოლმა.

საბრალო სტეფანოსმა დაიწყო სირბილი ეზოდან ეზოში, სახლიდან სახლში, ორღობეში... უცებ შარაგზაზე კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გადეყარა, თავმჯდომარემ გაუღიმა და ცნობისმოყვარეობით შეეკითხა:

— სტეფანოს-ჯან, რა დაკარგე, რას ეძებ?

— ეეხ, მიკირტიჩ, ნუღარ მკითხავთ, ერთი წიწილა დამეკარგა.

— ხა-ხა-ხა... — გადაიხარხარა თავმჯდომარემ. — მერე შე კაი კაცო, ერთ წიწილას სოფელ-სოფელ დაეძებ?.. რაკი ასეთი ერთგული ყოფილხარ, ხვალიდან ქათმების ფერმის გამგედ გნიშნავო.

იმავე დღეს სტეფანოსმა კოლმეურნეობის თეთრი წიწილებიდან ერთი წიწილა მოიყვანა და თავის ჭიელ წიწილებში შეურია. რა ექნა? ერთი წიწილისათვის ოჯახს ხომ არ დაანგრევდა? დედაკაცია, ფიქრობდა სტეფანოსი, ერთიც ვნახოთ შინ არ შემიშვასო.

Ხ. ᲞᲝᲚᲝᲡᲘᲐᲜᲘ.

თარგმნა სომხურიდან ა. ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲐᲜᲘᲡ.

ᲛᲔ-10.000 ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲘ ᲛᲐᲢᲔᲜᲐᲓᲐᲠᲐᲜᲨᲘ

ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ სხვადასხვა კუთხიდან ფოსტას თითქმის ყოველდღე მოაქვს გზავნილებანი, რომლებსაც უცხო ენებზე აწერია ხოლმე მხოლოდ ერთი სომხური სიტყვა: „მატენადარანი“. ეს სიტყვა აღარ ითარგმნება (მატენადარანი ეწოდება უძველეს ხელნაწერთა საცავს).

ამას წინათ თბილისიდან ჩამოსულმა ერთმა მოხუცმა მატენადარანს ძღვნად გადასცა პერგამენტის კიდევ ერთი ხელნაწერი, რომელიც მე-10.000 ნომრით აღირიცხა. ეს იყო მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორია“ (V საუკუნე).

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

ᲝᲯᲐᲮᲣᲠᲘ ᲡᲘᲢᲧᲑᲝ

ᲩᲕᲔᲜᲘᲡ რაიონში ახალ შეუღლებულებს ხშირად ასე დალოცავენ: ისეთივე სიტყბო მოგცეთ ოჯახში, როგორიც აი კახელაანთ ჯანს აქვს დამკვიდრებული.

თვითონ მე ქორწილში ადარ მეპატიჟებიან, რადგან რაღაც ენერგიაც დამიძახეს, იმდენჯერვე წიგნის მეტი არაფერი მიმტანია.

ოჯახური სიტყბოს გასაღები ჩემს ოჯახში სრულიად შემთხვევით აღმოვაჩინე. გასულ შემოდგომაზე, ჩემი ბიჭის დაბადების დღესთან დაკავშირებით, ნახევარი თვის ხელფასით ერთი ისეთი ბროლის თასი ვყიდე, რომ მისი შინ მიტანა მარჯვენა მხარის გადატყავებად დამიჯდა. იმ საღამოს გაშლილი მაგიდის შუაგულს ბროლის თასი ამშვენებდა და მეც სიამაყით შევყურებდი ახალშეძენილ სიმშვენიერეს.

თამადამ, იმ ჩემი ცოდვით წავსემ, პირველი სადღეგრძელოსთანავე თვალი დაადგა და ათწუთიანი შექების შემდეგ ჩემი სადღეგრძელოს დალევა იმ თასით მოიწადინა და შიგ ისე თავისუფლად მოაქცია ერთი ლიტრი ღვინო, რომ სატუჩემდე კიდევ ორი ჩაის ჭიქის დამატება დასჭირდა, შემდეგ პირზე მიიდგა და ისეთი წრუპუნი აუტეხა, რომ სხვენში თაგვებმა ალიაქოთი ატეხეს.

სიდედრისა და სიმამრის სადღეგრძელოზე თამადას გული აუჩუყდა, ჩინურ პერანგზე ჩამოდგარილ ღვინოს თვალებიდან გადმოდვრილი ცრემლები დაამატა და თასი მოადგილისაკენ გადაისროლა. მოადგილემ, რომელსაც თურმე თავის დღეში ფეხბურთი არ ეთამაშა, თავი დაღუნა და ჩვენმა ბროლის თასმა ჩემი სიდედრის ნეკთან მოადინა ჭახანი.

— მოგიკვდა მომტანი, — ამოიკნავლა ჩემმა ცოლისდამ.

— ვაი, რატომ ჩემი სიძის თავი არ გატყდა მაგის მაგიერ, — შეიცხადა ცოლის დედამ.

— თუ ისროდით, ბარემ თავში მოგვერტყათ ამ სიძე ოხრისთვის... — დაუსარა ჩემმა სიმამრმა.

სიდედრმა ჯერ გატეხილ თასს დახედა, ნამტვრევები გადაბრუნ-გადმოაბრუნა და რა დარწმუნდა, რომ მისი გამრთელება მხოლოდ მამაზეცერს შეიძლო, ფეხზე ხელი მოიკიდა და ისეთი კივილი გაჰყა, რომ ჩვენს ქუჩას ვინ ჩავის, მეზობელი ქუჩიდანაც გადმოგვეშვა ხალხი.

ამ პატარა შემთხვევამ დიდი გავლენა იქონია ჩემს ცხოვრებაზე. ხანმოკლე ფიქრის შემდეგ ოჯახის წევრებს უტაქტო მოქმედებისათვის საყვედური გამოვუცხადე და შემდეგი ღონისძიებები დავსახე:

1. სასტიკად ავკრძალე ბროლისა და სხვა ძვირფასი ჭურჭლის ოჯახში შემოტანა.

2. ძვირფასი უნგრული საწოლების შეძენაზე ცოლს სასტიკი უარი განვუცხადე და ეცხლში დავუწვი 1959 წლის პარიზის მოდების ჟურნალი.

3. ჩემი ქალიშვილის თმა იმდენი ვწიე მაღლა, სანამ ნორმალური სიგრძემდის არ დავუყენე.

4. მეოთხე სართულიდან სანაგვე ყუთში გადავყარე ინითა და ბასმით გამოტეხილი ქალაღლის ტომრები.

5. ოჯახის წევრებს სასტიკად ავუკრძალე პირველ ორ დღეს ჩვენი და უცხოური კინოსურათების ბილეთებისათვის რიგში დგომა და ტანსაცმლის გლეჯა.

6. ჩემს სიდედრს ავუკრძალე ოჯახში ისეთი გადამდები სიტყვების ხმარება, როგორიც არის „შუბა“, „მელიის ქურქი“, „გობელენი“, „ნოხი“ და სხვა.

7. განუსაზღვრელი ვადით ჩამოვართვი ჩემს მეუღლეს და ქალიშვილს კარონის ყველა ტანსაცმელი და ადამიანურად შეეგმოსე.

შედეგი?! საუკეთესოზე საუკეთესო:: უბრალო ჯამ-ჭურჭლით გავსებულ ოჯახში გატეხს თუ არა ჩემი ძე ანდა ასული ჭიქას ან მათლაფას, ისეთი სიცილ-ხარხარი და ტაშისკვრა ატყდება ხოლმე, რომ უკეთეს სანახაობას ვერსად ვერ ნახავს ადამიანი.

ოჯახში ძვირფასი, უცხოური თუ აქაური გადასაფარებლები არ მიმიტანია და, როდესაც ჩემი მეუღლე ჩვეულებრივ გადასაფარებელს სარეცხის ქვაბში უშვებს, არც საათზე იყურება და არც კიდევ ცვეთას ამოწმებს.

ასე დამყარდა ჩემს ოჯახში სიტკბო და სიხარული, აღარც ერთმანეთს ვემდურით, აღარც გატეხილ-გაფხაჭნილზე ვჯაერობთ და არც კიდევ ფულის განაწილებაზე გვაქვს უთანხმობა.

როგორც ჩვენა ვართ ტკბილად, ნეტავ მსე იყვნენ ყველანი.

Ვ. ᲙᲐᲮᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲛᲐᲚᲔ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲚᲔᲑᲔᲓᲔ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲜᲘᲐᲜᲒᲘᲡ“ ᲐᲮᲐᲚ ᲜᲝᲛᲔᲠᲔ. ᲡᲐᲜᲐᲛ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲕᲘᲓᲝᲓᲐ ᲘᲒᲘ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲔᲞᲧᲘᲐ ᲓᲐ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲨᲔᲡᲗᲐᲕᲐᲖᲐ ᲗᲣ ᲤᲐᲠᲘᲚᲘ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲜᲐᲙᲕᲔᲡᲔᲑᲘ

△ **ᲒᲐᲛᲔᲘᲓᲕᲔᲚᲛᲐ** წაიტრაბახა — საჩვენებელი თითის წყალობით თითით საჩვენებელი ოჯახი მოვაწყეთ.

△ **ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ** თავმჯდომარე შეეკითხა ბუხბალტერს, როგორ არის ჩემი შრომადღეების საქმეო, და — დათვლილია.

△ **ᲛᲔᲓᲕᲘᲜᲔᲡ** ჰკითხეს, როგორი ღვინო გაქვსო, და — არაჩვეულებრივი.

△ **ᲙᲝᲛᲙᲝᲜᲘᲢᲝᲠᲛᲐ** სხვისა თავისაში არია და გამოვიდა არია.

△ **ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲛᲐ** ქალმა დაურეკა უფროსს — დღეს სამსახურში ვერ მოვდივარო, და — ნეტამც შემოგევლოო.

Ვ. ᲯᲐᲕᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ.



ნახ. ნ. მალაზონიასი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ ᲞᲠᲔᲞᲐᲠᲐᲢᲔᲑᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ქვეყნის მოწინავე კლინიკებსა და სხვა სამკურნალო დაწესებულებებს ფართოდ გამოსაცდელად დაგზავნათ სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ორგანული ქიმიის ინსტიტუტის მიერ შემუშავებული ახალი სამკურნალო პრეპარატები „ქვატელერონი“, „ფუბრომეკანი“ და „მესფენალი“.

სომეხმა მეცნიერებმა შეიმუშავეს აგრეთვე რამდენიმე ახალი სამკურნალო. პრეპარატი — „ფურაზოლი“, „ფეტოზიტი“, „პირაკურინი“ და „ციგნამი“.

ინსტიტუტის მიერ უკანასკნელ წლებში შექმნილმა პრეპარატებმა ფართო გავრცელება ჰპოვა საბჭოთა კავშირის სამკურნალო დაწესებულებებში.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲔᲜᲐᲖᲔ

ᲐᲛ დღეებში „ჰაიპატჰრატი“ (სომხეთის სახელმწიფო გამომცემლობა) წიგნის ბაზარზე გამოუშვებს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავისადმი მიძღვნილ მთელ რიგ წიგნებს. მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია „ქართული ლიტერატურის ანთოლოგია“, რომელიც მოიცავს მოძმე ხალხის პოეზიისა და პროზის თარგმანებს. ანთოლოგიაში წარმოდგენილია ქართული მხატვრული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები (მეხუთე საუკუნიდან ჩვენს დრომდე).

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲗᲚᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲛᲐᲡᲢᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ

ᲒᲐᲠ იმ ქვეყნიდან, სადაც კლდეები იდგა ვით ხალხის შავი დღეები, სადაც ალიზის ქოხთა მონატრე პირქუშ კლდეებში ჰკვეთდა მონასტრებს.

ᲒᲔᲝᲠᲒᲘ ᲔᲛᲘᲜᲘ.

ᲒᲐᲠ იმ ქვეყნიდან, სად მძიმე წლები ვიდოდნენ როგორც მთის შმაგი წყლები.

ახლა კი სევანს, რაზდანს და არაკსს ახალგაზრდობის საზღვარი არ აქვს.

ᲒᲐᲠ იმ ქვეყნიდან,—პურის მარცვალიც რომ იყო ხვედრი მტრის და ხანძარის, დღეს ჯეჯილის ზღვებს არ უჩანს ბოლო,/

პურის პატრონიც ხალხია მხოლოდ.

ᲒᲐᲠ იმ ქვ